



UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikul i Jurnal i
`gadasaxadebi -

registrirebul ia #04-06/65, 10.08.2009 / **Registered** #04-06/65, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical magazine `Gadasakhadebi

mTavari redaqtori:
daviT jal aRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalagonia, Full Professor

pasuxismgebel i mdivani
marine xubua, asocierebul i profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gel aSvili
asocierebul i profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqniki redaqtori:
nazi gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri

koreqtori: rusiko papaskiri
asocierebul i profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocierebul i profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professor

iurist-konsultanti:
el guja qavTaraZe, asocierebul i profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

Jurnal i „gadasaxadebi -
registrirebul ia
s.k. 404941300
Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmj domare: profesori daviT jal aRonia
Chairman: professor David Jalagonia
ekonomikur mecnierebaTa doqtorebi,
profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amil axvari	Zaur Amilakhvari
rezo gvel esiani	Rezo Gvelesiani
simon gel aSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
L arisa Takal anZe	Larisa Takalandze
zurab Iipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vl adimer RI onti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengel ia	Temur Shengelia
mixeil Cikvil aZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
el ene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nino xarebava	Nino Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anjel ika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi el sever nariman oRli -
baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

mimRebi: Sps `biznes intel eqti -
mimRebis IBAN angariSis # GE30BR0000010679562042
mimRebis banki: s.s banki `respublika -
bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
Correspondent acc. No: 00195464
SWIFT: REPL GE 22

T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri Sesazl oa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvani i faqtetba da monacemebis sizusteze pasuxismgebel ia avtorii.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel , fasi 12 I ari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 12

ISSN 1987-9156



sarCevi / **Table of contents**

ekonomi kuri qroni ka / **Economic chronicles** _____ 5-11

auqci oni / **auction** _____ 12

oficial uri dokumentebi / **Formal documents**

oficial uri dokumentebi 13-64

instruqcia / **Instructions** 65-83

ki Txva - pasuxi / **Questions and answers** 84-85

Jurnal `gadasaxadebis- redaqciaSi Semosul SekiTxvebs pasuxobs
Cveni eqsperti, Semosavl ebis samsaxuris auditis departamentis
auditori - besik miqel aZe

val utis kursi / **Exchange rate** _____ 86

gadasaxadebi # 4-5, 2015

GADASAKHADEBI # 4-5, 2015



ECONOMIC NEWS

EBRD-ის მასპინძელი ქვეყნის საინვესტიციო სესია



2015-05-14

იზრდება საქართველოს, როგორც რეგიონალური ბიზნესცენტრის, მნიშვნელობა, ამიტომ ჩვენი მიზანია, გამოვიყენოთ საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა ევროპასა და აზიას შორის და აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიული როლი, -ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს საინვესტიციო მიმოხილვის სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.



ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, საქართველოს როლის განსამტკიცებლად, მთავრობამ განვითარებისა და ინვესტირების თვალსაზრისით ხუთი პრიორიტეტული სექტორი დაადგინა. ესენია: საბანკო სექტორი; ტრანსპორტი და ლოგისტიკა; ენერჯეტიკა; ტურიზმი; წარმოება და სოფლის მეურნეობა. ვრცელ გამოსვლაში მთავრობის მეთაურმა ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებსა და ბოლო პერიოდში მიღწეულ პროგრესზე გაამახვილა ყურადღება. „დღეს საქართველო სრულიად განსხვავებული ქვეყანაა, ვიდრე ოცი წლის წინ. ქვეყანაში მიღწეულია უზარმაზარი წინსვლა ყველა სფეროში - ჯანდაცვითა და განათლებით დაწყებული, პოლიტიკური სტაბილურობით, ეროვნული უსაფრთხოებითა და ეკონომიკური განვითარებით დამთავრებული. წლების განმავლობაში ამ ტრანსფორმაციას მოწმობს ბევრი საერთაშორისო რეიტინგი და დღეს საქართველო არის ლიდერი და მისაბადი რეგიონში დემოკრატიის განმტკიცების, კორუფციასთან ბრძოლისა და სტაბილური, ბიზნესის წარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის კუთხით,“- აღნიშნა პრემიერმა. ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, შარშან საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და დაიწყო ფართომასშტაბიანი რეფორმების განხორციელება. მისივე თქმით, საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების წარმატებით განხორციელებას.

პრემიერ-მინისტრმა უცხოური ბიზნესწრეების წარმომადგენლებს საქართველოს შესახებ საერთაშორისო რეიტინგები გააცნო.

"ჩვენ ვთვლით, რომ თავისუფალი, ღია და გამჭვირვალე ბიზნესგარემო, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ ინვესტორებს, კიდევ უფრო გაზრდის უცხოური კაპიტალის მოზიდვის დადებით ტენდენციას. მსოფლიო ბანკის "ბიზნესის წარმოების სიმარტივის ინდექსის" თანახმად, საქართველო მე-15 ადგილზეა. Heritage Foundation-ის უკანასკნელი კვლევა კი ცხადყოფს, რომ ეკონომიკური თავისუფლების თვალსაზრისით საქართველო 22-ე ადგილზეა მსოფლიოში,"-განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ყოველწლიური შეხვედრის ადგილად საქართველოს შერჩევისთვის და სესიის მონაწილეები ოქტომბერში, თბილისში დაგეგმილ „აბრეშუმის გზის ფორუმზე“ მოიწვია.

პრემიერ-მინისტრი გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დელეგაციას შეხვდა

2015-05-14



საქართველო-გერმანიის ურთიერთობებს განვიხილავ ორ ქვეყანას შორის საუკეთესო თანამშრომლობის მაგალითად, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გერმანიის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (KfW) დელეგაციის შეხვედრაზე განაცხადა.

შეხვედრა მთავრობის ადმინისტრაციაში, EBRD-ის ღონისძიების ფარგლებში გაიმართა. მხარეებმა ისაუბრეს სამომავლო გეგმებსა და იმ მიმდინარე პროექტებზე, რომელსაც გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს.

აღინიშნა, რომ დღეის მდგომარეობით გერმანიის მიერ, ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოსთვის საჯარო სექტორში გამოყოფილია დაახლოებით 465 მლნ ევრო გრანტისა და შეღავათიანი სესხის სახით. მიმდინარეობს 7 პროექტი წყლისა და კანალიზაციის ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სფეროებში, რომელთა მოცულობა შეადგენს დაახლოებით 192 მლნ ევროს. საქართველოს მთავრობის მეთაურმა გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დელეგაციას წარმატებული თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა. შეხვედრას ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია დაესწრნენ.



ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიური შეხვედრის ფარგლებში მორიგი შეხვედრა ლიტვის რესპუბლიკის დელეგაციასთან გაიმართა

13 mai si 2015



საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ლიტვის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრს რიმანტას შადჟიუსის EBRD-ის ყოველწლიური შეხვედრის ფარგლებში შეხვდა.

ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის საგადასახადო სფეროში თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივას.

ლიტვის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა ხაზი გაუსვა აღნიშნული მიმართულებით საქართველოს დადებით გამოცდილებას.

„საქართველოს აქვს შესანიშნავი გამოცდილება გადასახადების ელექტრონული ადმინისტრირების მიმართულებით. ვფიქრობ, აუცილებლად უნდა შევისწავლოთ თქვენი გამოცდილება და ის მჭიდრო თანამშრომლობა, რომელიც ლიტვის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ტრადიციულად უკვე დიდი ხანა არსებობს, მომავალშიც შევინარჩუნოთ და გავაღრმავოთ,“ - განაცხადა რიმანტას შადჟიუსიმ. მისივე თქმით, საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობებს შორის არსებობს შეთანხმება სამთავრობოთაშორისი კომისიის ფორმირების შესახებ, რომელიც ორმხრივი ურთიერთობების ეფექტურად წარმართვას ემსახურება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის თქმით, ლიტვის რესპუბლიკა, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყანაა, დაინტერესებულია საგადასახადო და საბაჟო სფეროში ჩვენი ქვეყნის გამოცდილების გაცნობით, რისთვისაც ლიტვის ფინანსთა მინისტრი კვლავ გეგმავს თბილისში ჩამოსვლას.

EBRD-ის პრეზიდენტის, სერ სუმა ჩაკრაბარტის ვიზიტი თბილისში დაიწყო

12 მაისი 2015



ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნესფორუმის ფარგლებში, დედაქალაქმა უკვე მიიღო პირველი ოფიციალური სტუმარი.

11 მაისს, გვიან საღამოს თბილისში მეულესთან ერთად ჩამოვიდა EBRD-ის პრეზიდენტი სერ სუმა ჩაკრაბარტი.

სტუმრებს თბილისის აეროპორტში ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური დახვდა. ყოველწლიური შეხვედრის ოფიციალურ გახსნამდე, EBRD-ის პრეზიდენტს დაგეგმილი აქვს ორმხრივი შეხვედრები პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან, მინისტრთა კაბინეტის წევრებთან.

დღეს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ერთად ხელი მოეწერება „ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების პროექტის“ განხორციელების ხელშეკრულებებს.

„უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იწყება თბილისში. იგეგმება ბევრი საინტერესო ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრა, როგორც სამთავრობო დონეზე, ისე ბიზნესმენებს შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს ფორუმი იწყება EBRD-ის პრეზიდენტის, სერ სუმა ჩაკრაბარტის ვიზიტით, რომელსაც უკვე დაგეგმილი აქვს ორმხრივი შეხვედრები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ჩვენ ვიწყებთ სრულფასოვან მუშობას, რათა კიდევ უფრო გავზარდოთ საქართველოს საინვესტიციო ცნობადობა და ინტერესი. მსოფლიოს წამყვანი ბიზნესმენები სწორედ თბილისში გაუზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას და ახალი პროექტების განხორციელებაზე იმსჯელებენ,“ - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.



„უპირველეს ყოვლისა, მსურს აღვნიშნო - ნამდვილად ამაყი ვარ იმით, რომ EBRD-ის ყოველწლიური შეხვედრა და ბიზნესფორუმი, წელს კავკასიაში პირველად, საქართველოში ტარდება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ განხორციელებული რეფორმებით, შექმნა მაგალითი იმისა, თუ რატომ უნდა განხორციელოს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ინვესტიციები ამ რეგიონში. საქართველოში ჩვენ განხორციელებული გვაქვს 2.6 მილიარდი ევროს ოდენობის ინვესტიცია სხვადასხვა სექტორში. თქვენი ქვეყანა მაგალითია როგორც EBRD-თვის, ისე რეგიონისთვის. ყოველწლიური შეხვედრა და ბიზნესფორუმი ნამდვილად უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა, გამომდინარე იქიდანაც, რომ აღნიშნული ფორუმის ფარგლებში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი 5-წლიან სამოქმედო სტრატეგიას დაამტკიცებს. ამასთან, საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა, წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები ეკონომიკის განვითარებისთვის. საქართველო დღეს მოვლენების, წინსვლის ეპიცენტრშია,“ - აღნიშნა EBRD-ის პრეზიდენტმა სერ სუმა ჩაკრაბარტიმ.

მან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა EBRD-ის ყოველწლიური შეხვედრის თბილისში ჩატარების მნიშვნელობას და იმედი გამოთქვა, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარე საერთაშორისო ფორუმი, შედეგის მომტანი იქნება როგორც მასპინძელი ქვეყნისთვის, ისე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისთვის.

EBRD-ი სრულად უჭერს მხარს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარულ პოლიტიკას

12.05.2015



12 მაისს, EBRD-ის ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნესფორუმის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტს სერ სუმა ჩაკრაბარტის შეხვდა.

შეხვედრაზე გიორგი ქადაგიძემ და სერ სუმა ჩაკრაბარტიმ ქართულ საბანკო სექტორში არსებულ ვითარებასა და ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული რეფორმების შესახებ ისაუბრეს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ EBRD-ი კვლავაც ადასტურებს საქართველოს საბანკო სექტორის სტაბილურობას და სრულად უჭერს მხარს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარულ პოლიტიკას.



„ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა გვექონდა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობასთან. დასაწყისში გულითადად მინდა მიველოცო, გიორგი ქადაგიძეს ევროპაში საუკეთესო ცენტრალური ბანკის მმართველის ნომინაციის მიღება. ეს ჯილდო შეფასებაა ეროვნული ბანკის პოლიტიკის და მისი გუნდის მუშაობისა. ეს გამარჯვება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეროვნული ბანკისათვის, არამედ ქვეყნისათვის, ვინაიდან ეს აღიარება აუცილებლად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე. ჩვენ განვიხილეთ **EBRD**-ის მხარდაჭერა საქართველოს საბანკო სექტორის მიმართ. როგორც იცით, მრავალწლიანი, ნაყოფიერი და პროდუქტიული თანამშრომლობა გვაკავშირებს. ჩვენი შეფასებით, დღეს ქვეყნის საბანკო სექტორი არის ძლიერი, კარგად კაპიტალიზებული, ორი დიდი ბანკის აქციები ივაჭრება ლონდონის საფონდო ბირჟაზე. ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა საქართველოსთვის, ეს ნიშნავს, რომ საბანკო სექტორი ძლიერია და მის რეგულირებას საუკეთესო, სამაგალითო მოდელით, მაღალი პროფესიონალიზმით ახორციელებს ეროვნული ბანკი.

ჩვენ ასევე ვისაუბრეთ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე, მოგეხსენებათ, **EBRD**-მა განახორციელა ლარში დომინირებული ობლიგაციების გამოშვება. ჩვენ განვიხილეთ პრობლემებიც. ჩვენი აზრით საქართველოში ფუნდამენტური პრობლემები არ არსებობს, ეს დროებითი გამოწვევებია და საქართველოს ეკონომიკას საკმაოდ პოზიტიური პერსპექტივა აქვს.

შექებას იმსახურებს ეროვნული ბანკის მონეტარულ პოლიტიკა, ვთვლით რომ ეროვნულმა ბანკმა სწორი და გონივრული პოლიტიკა აირჩია ლარის გაცვლითი კურსის მერყეობისას სავალუტო რეზერვების შენარჩუნების კუთხით, ვინაიდან სავალუტო რეზერვები მნიშვნელოვანი აქტივია ქვეყნისათვის.

EBRD-ი თვლის, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ქმედებები სწორია. ეროვნული ბანკი პროფესიონალურ დონეზე ასრულებს თავის ძირითად ფუნქციებსა და ამოცანებს და მისი დამოუკიდებლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანი და ფუნდამენტალურია, ვინაიდან ეს ფუნდამენტური ფაქტორია ინვესტორთა ნდობისათვის და ეკონომიკის განვითარებისათვის მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში“, - განაცხადა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტმა სერ სუმა ჩაკრაბარტიმ.

EBRD-ის ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნესფორუმის ფარგლებში საქართველოს **60**-ზე მეტი ქვეყნის სამთავრობო დელეგაცია, **1500**-მდე ბიზნესმენი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ეწვივნენ.



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

13.05.2015

2015 წლის 13 მაისს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 15 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ორმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 16 250 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 11.700 პროცენტით, მაქსიმალური 12.250 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი-12.107 პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური განაკვეთი 10.250 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.





საქართველოს კანონი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, **1994**, №№**21–22**, მუხ. **455**) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„**8.** თუ მეწარმე სუბიექტის საქმიანობა დაკავშირებულია საქართველოს ფარგლების გარეთ შრომით მოწყობასთან ან/და შრომით მოწყობაში დახმარებასთან, სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში ამის მითითება სავალდებულოა. ასეთი მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის დამატებითი პირობები განისაზღვრება ინსტრუქციით.“.

2. 69-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„**8.** იურიდიული პირი, ინდივიდუალური მეწარმე ან უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია საქართველოს ფარგლების გარეთ შრომით მოწყობასთან ან/და შრომით მოწყობაში დახმარებასთან, ვალდებულია ამ კანონის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება **2016** წლის **1** მაისამდე შეიტანოს თავის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში.“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს **2015** წლის **1** ნოემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

1 აპრილი 2015 წ.

N3419-III



საქართველოს კანონი

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2008, მუხ. 298) 20¹ მუხლის:

ა) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6¹ პუნქტი:

„6¹. თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ სუბიექტის საქმიანობა დაკავშირებულია საქართველოს ფარგლების გარეთ შრომით მოწყობასთან ან/და შრომით მოწყობაში დახმარებასთან, მარეგისტრირებელი ორგანო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციით“ დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას სუბიექტის საქართველოს ფარგლების გარეთ შრომითი მოწყობის ან/და შრომით მოწყობაში დახმარების განმახორციელებელ სუბიექტად რეგისტრაციის შესახებ.“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სუბიექტის ამ მუხლის მე-6 და 6¹ პუნქტებით დადგენილი წესით რეგისტრაციის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციით“ განსაზღვრული ფორმით ამზადებს სუბიექტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

1 აპრილი 2015 წ.

N3420-III



საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის მე-11 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. საგადასახადო ორგანოს მიერ სასამართლოს/დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულებისას ამ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები არ გამოიყენება.“.

2. მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დარიცხვის საფუძველია საგადასახადო დეკლარაცია/საბაჟო დეკლარაცია;“.

3. 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. 48-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოში საგადასახადო კონტროლს ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო ორგანოები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ კოდექსით ასეთი უფლებამოსილება სხვა ორგანოს აქვს მინიჭებული.“.

5. 49-მუხლის მე-6 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

6. 53-ე მუხლის მე-7 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

7. 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა1“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

8. 63-ე მუხლის:

ა) პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების თანხა აღემატება დარიცხული გადასახადების ან/და სანქციების თანხას, საგადასახადო ორგანო გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე, ამ მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 1 თვისა უბრუნებს გადასახადის გადამხდელს ზედმეტად გადახდილ თანხას.“.

2. თუ გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების თანხა აღემატება აღიარებული საგადასახადო დავალიანების თანხას, საგადასახადო ორგანო ზედმეტად გადახდილ თანხას შემდგომ დარიცხული და აღიარებული საგადასახადო დავალიანების დასაფარავად მიმართავს.“;

ბ) მე-3 და მე-4 ნაწილები ამოღებულ იქნეს;

გ) მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. გადასახადის გადამხდელისთვის მის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.“.



9. 81-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 81. გადასახადის განაკვეთი

1. ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 20 პროცენტით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. საცხოვრებელი ფართობის იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად იმ ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ შემოსავლიდან გამოქვითავებს არ ახორციელებს, 5 პროცენტით იბეგრება.

3. ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ბინის (სახლის) და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალების მიწოდებით მიღებული ნამეტი შემოსავალი 5 პროცენტით იბეგრება.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის აქტივის მიწოდებით მიღებული ნამეტი შემოსავალი განისაზღვრება ამ კოდექსის 82-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

5. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიზნებისათვის საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრის წარმოების და საცხოვრებელი ფართობის იურიდიულ პირებზე გამქირავებელი პირების მიერ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.“.

10. მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) გადასახადის გადამხდელთან გაფორმებული საგადასახადო შეთანხმების საფუძველზე გადასახადების ან/და სანქციების შემცირებით, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერით, აგრეთვე ამ კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე საგადასახადო სანქციისაგან გათავისუფლებით მიღებული სარგებელი;“.

11. 134-ე მუხლის:

ა) პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ¹“ ქვეპუნქტი:

„ბ¹) როიალტი – 5 პროცენტით;“;

ბ) 1¹ ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1¹. შეღავათიანი დაბეგრის მქონე/ოფშორულ ქვეყანაში რეგისტრირებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „ბ¹“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიღებული შემოსავალი იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითავების გარეშე, 15 პროცენტით.“.

12. 153-ე მუხლის 3¹ ნაწილი ამოღებულ იქნეს.

13. 161-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ ნაწილი:

„2¹. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნისათვის ამ კოდექსის მე-18 მუხლის მე-11 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ითვლება, რომ პირთა



ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს გარიგების შედეგებზე, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) გადასახადის გადამხდელის მიერ დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის (გარდა გათავისუფლებული ოპერაციისა) განხორციელების შედეგად მიღებული/მისაღები საკომპენსაციო თანხა მის მიერ მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასზე ნაკლებია. ამასთანავე, საქონლის ან/და მომსახურების მიმღებს აქვს დღგ-ისგან როგორც ჩათვლის უფლებით, ისე ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ბრუნვა;

ბ) გადასახადის გადამხდელის მიერ, ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაციის განხორციელების შედეგად მიღებული/მისაღები საკომპენსაციო თანხა მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასზე ნაკლებია. ამასთანავე, საქონლის/მომსახურების მიმწოდებელს აქვს დღგ-ისგან როგორც ჩათვლის უფლებით, ისე ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ბრუნვა;

გ) გადასახადის გადამხდელის მიერ, დასაბეგრი ოპერაციის (გარდა გათავისუფლებული ოპერაციისა) ან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაციის განხორციელების შედეგად მიღებული/მისაღები საკომპენსაციო თანხა მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასზე მეტია. ამასთანავე, საქონლის/მომსახურების მიმწოდებელს აქვს დღგ-ისგან როგორც ჩათვლის უფლებით, ისე ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ბრუნვა.“.

14. 171-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქონლის დროებითი შემოტანისას:

ა) პირმა, რომელიც დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული არ არის, დარიცხული დღგ-ის თანხა უნდა გადაიხადოს არაუგვიანეს ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა უნდა განახორციელოს საქონლის დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, მთელი გადასახდელი თანხა ერთდროულად გადაიხადოს;

ბ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს დღგ-ის დარიცხვის ვალდებულება არ ეკისრება. ამასთანავე, ითვლება, რომ ამ საქონელზე მან განახორციელა შესაბამისი ოდენობის დღგ-ის ჩათვლა.“;

ბ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. უკუდაბეგვრისას საგადასახადო აგენტი (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირისა) ვალდებულია დარიცხული დღგ-ის თანხა გადაიხადოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით, არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.“.

15. 173-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

16. 174-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:



„დ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის მიერ უკუდაბეგვრის შემთხვევაში დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული უკუდაბეგვრის დღგ-ის თანხა, რომელიც იმავდროულად ჩათვლის მიღების საფუძველია.“.

17. 176-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) თუ საგადასახადო აგენტი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, დარიცხული უკუდაბეგვრის დღგ-ის თანხა ექვემდებარება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაციაში ასახვას;

ბ) თუ საგადასახადო აგენტი რეგისტრირებული არ არის დღგ-ის გადამხდელად, მის მიერ საგადასახადო ორგანოში ანგარიშგების წარდგენისა და დარიცხული გადასახადის ბიუჯეტში გადახდის წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.“.

18. 191-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამ კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აქციზის გადამხდელი;“.

19. 204-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისთვის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფორმით გამოყოფილი მიწა იბეგრება ერთ ჰექტარზე არაუმეტეს 3 ლარით.“.

20. 238-ე მუხლის მე-8–მე-11 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საგადასახადო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინება შეიძლება გადავადდეს არაუმეტეს 3 წლით, თუ გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია თავდებობის ხელშეკრულება, წარდგენილია საბანკო გარანტია ან დაზღვევის პოლისი ან/და საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთულია პირის ქონება, რომლის ღირებულება უზრუნველყოფს აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინებას. აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადებით საურავის დარიცხვა არ ჩერდება.“.

8¹ . საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით, ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალების წარდგენის გარეშე აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინება შეიძლება გადავადდეს არაუმეტეს 1 წლით, თუ აღიარებული საგადასახადო დავალიანების თანხა 5000 ლარს არ აღემატება.“.

9. გადასახადის გადამხდელთან ფორმდება აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულება, რომელშიც აისახება აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდის ვადები და პირობები.“.



10. თუ გადასახადის გადამხდელმა არ შეასრულა აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, უქმდება საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ.

11. აღიარებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისაცა ხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურისაცის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“.

21. 253-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 253. აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის წესი

1. აღიარებული საგადასახადო დავალიანება დაიფარება შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) გადასახადის თანხა;

ბ) ჯარიმა;

გ) საურავი.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული თანამიმდევრობის გათვალისწინებით აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი ბრძანებით.“.

22. 269-ე მუხლის 51 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

23. 271-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეს აწარმოებს საგადასახადო ორგანო. საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი, გარდა ამ მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.“;

ბ) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართალდარღვევა საგადასახადო შემოწმების აქტშია დაფიქსირებული.“.

24. 272-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საურავი ერიცხება გადასახადის თანხას, რომელიც არის სხვაობა გადასახადის გადამხდელის მიერ შეუსრულებელ საგადასახადო ვალდებულებებსა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ჯამს შორის. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის



გათვალისწინებული, საურავის დარიცხვა ხორციელდება თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის, გადასახადის გადახდის ვადის ამოწურვის დღის მომდევნო დღიდან.“;

ბ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საურავი შეადგენს გადაუხდელი გადასახადის თანხის 0,05 პროცენტს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. გადასახადის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში გადასახადის გადახდის დღე ვადაგადაცილებულ დღედ ითვლება.“.

25. 282-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა – იწვევს პირის დაჯარიმებას რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის პერიოდში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა გათავისუფლებული ოპერაციებისა) თანხის 5 პროცენტის ოდენობით.“.

26. 286-ე მუხლის:

ა) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გადასახადის გადამხდელთან სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღურიცხველი და პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამოვლენა – იწვევს პირის დაჯარიმებას გამოვლენის მომენტში ამ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით.“;

ბ) მე-9–მე-11 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. გადასახადის გადამხდელთან ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაკლისის გამოვლენა ითვლება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად. ამასთანავე, თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისი საგადასახადო ორგანოს მიერ ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, პირი დამატებით ჯარიმდება ამ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით.“.

10. ამ მუხლის მე-4 და მე-9 ნაწილებით გათვალისწინებული სანქციები არ გამოიყენება, თუ:

ა) სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღურიცხველი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზედმეტობის ან/და დანაკლისის ოდენობა ამავე სახის აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების 2 პროცენტს არ აღემატება;

ბ) გადასახადის გადამხდელმა ზედმეტობის ან/და დანაკლისის შესახებ ინფორმაცია ასახა საგადასახადო ანგარიშგებაში ან/და მიაწოდა საგადასახადო ორგანოს ინვენტარიზაციის ან საგადასახადო შემოწმების დაწყებამდე და, ამ ინფორმაციის თანახმად, ზედმეტობა აღიარებულია სარგებლად, ხოლო დანაკლისი – მიწოდებად.

11. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენა, თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულება 1000 ლარს არ აღემატება, – იწვევს პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.“.



27. 309-ე მუხლის:

ა) მე-40 ნაწილი ამოღებულ იქნეს;

ბ) 45-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„45. ამ კოდექსის 252-ე მუხლის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით ჩამოწეროს საგადასახადო დავალიანება, მასზე დარიცხული საურავი და ჯარიმა, თუ იგი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით აღიარებულად არ ითვლება, აღნიშნული დავალიანების თანხის დარიცხვასთან დაკავშირებით გადასახადის გადამხდელისათვის არ ყოფილა წარდგენილი საგადასახადო ორგანოს შეტყობინება/საგადასახადო მოთხოვნა და გასულია მისი წარდგენის ხანდაზმულობის ვადა.“;

გ) 61-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„61. გადასახადის გადაუხდელ თანხას 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში საურავი დაერიცხება 0,06 პროცენტის ოდენობით, ხოლო ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული საურავი – 0,05 პროცენტი – გადასახადის გადაუხდელ თანხას დაერიცხება 2015 წლის 1 ივლისიდან. ამ შემთხვევაში გადასახადის გადაუხდელობისათვის საურავის ოდენობის განსაზღვრისას ამ კოდექსის 269-ე მუხლის მე-2 და 21 ნაწილების დებულებები არ გამოიყენება.“;

დ) 81-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 82-ე–85-ე ნაწილები:

„82. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 2015 წლის 1 მაისამდე შემოყვანილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მფლობელი თავისუფლდება აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებაზე საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის, საქონლის წარდგენის/ზოგადი დეკლარირების/დეკლარირების ვადის ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისათვის, სასაქონლო ოპერაციის პირობების დარღვევისათვის ამ კოდექსის 272-ე მუხლითა და 289-ე მუხლის პირველი, მე-17 და მე-18 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი 2015 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოფს ამ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების წარდგენასა და გაფორმებას.

83. ამ მუხლის 82-ე ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ ვრცელდება იმ პირზე, რომლის მიმართ საგადასახადო სამართალდარღვევებისათვის გამოყენებული საგადასახადო სანქციები ამავე მუხლის 82-ე ნაწილის ამოქმედებამდე აღსრულდა.

84. 2015 წლის 1 ივლისამდე საანგარიშო პერიოდებზე ჩათვლის დოკუმენტად განიხილება უკუდაბეგვრისას ან საქონლის დროებითი შემოტანისას ბიუჯეტში დღგ-ის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

85. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა 2016 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ამ კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული წესის დასადგენად ბრძანების გამოცემა.“.



მუხლი 2

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-6, მე-8, მე-12, მე-14–მე-17, მე-20, 21-ე, 24-ე ნაწილებისა და 27-ე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილები ამოქმედდეს 2015 წლის 1 დეკემბრიდან.

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-12, მე-14–მე-17, მე-20, 21-ე, 24-ე ნაწილები და 27-ე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2015 წლის 1 ივლისიდან.

4. ამ კანონის პირველი მუხლის მე-9 ნაწილი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართობის იურიდიულ პირებზე გამქირავებელი პირების ნაწილში) ამოქმედდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული წესის დასადგენად ბრძანების გამოცემისთანავე.

5. ამ კანონის პირველი მუხლის მე-9 ნაწილის (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართობის იურიდიულ პირებზე გამქირავებელი პირების შემთხვევისა) და მე-18 ნაწილის მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

6. ამ კანონის პირველი მუხლის მე-10 ნაწილის მოქმედება გავრცელდეს 2011 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

7. ამ კანონის პირველი მუხლის მე-19 ნაწილის მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 1 მაისი 2015 წ.

N3581-III



**საქართველოს კანონი****„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 30.12.2013, სარეგისტრაციო კოდი: 200000000.05.001.017293) პირველი მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. ხანდაზმულობის ვადა

1. გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის თანხის დარიცხვისა და საგადასახადო ვალდებულების შესახებ საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადა აითვლება შესაბამისი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან.

3. გადასახადის გადამხდელისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული სანქციის (გარდა საურავისა) დაკისრებისა და შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ვადა აითვლება:

ა) საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის კალენდარული წლის დასრულებიდან, გარდა ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან, თუ ამ კოდექსით გათვალისწინებული სანქციის თანხის გაანგარიშება უკავშირდება საგადასახადო ვალდებულების თანხის ოდენობას.

5. გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმების ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული ვადა აითვლება შესამოწმებელი პერიოდის შესაბამისი კალენდარული წლის დასრულებიდან.

7. ამ მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები გრძელდება 1 წლით, თუ ამ ვადების გასვლამდე დარჩენილია 1 წელზე ნაკლები და გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოში წარადგინა შესაბამისი პერიოდის საგადასახადო დეკლარაცია (მათ შორის, შესწორებული დეკლარაცია) ან გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა.

8. საგადასახადო ორგანოსათვის გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი, რომელიც აითვლება გადასახადის ან/და სანქციის



ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების უფლების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან.

9. გადასახადის გადამხდელისათვის, მარეგისტრირებელი ორგანოსათვის ან საბანკო დაწესებულებისათვის გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად ამ კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი, რომელიც აითვლება ამ დავალიანების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან.

10. ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა ჩერდება:

ა) პირის გადახდისუნარიობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე სასამართლო გადაწყვეტილების, აგრეთვე გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების, რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან შესაბამისი რეჟიმის დასრულებამდე;

ბ) „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, პირის საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის პერიოდში;

გ) საგადასახადო დავის პერიოდში.

11. საგადასახადო ორგანოს მიერ სასამართლოს/დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულებისას ამ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები არ გამოიყენება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2015 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 1 მაისი 2015 წ.

N3583-IIIს



**საქართველოს მთავრობის****დადგენილება №165**

2015 წლის 17 აპრილი, ქ. თბილისი

„საგადასახადო ომბუდსმენის უფლებამოსილების, საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და ფორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის №92 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საგადასახადო ომბუდსმენის უფლებამოსილების, საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და ფორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის №92 დადგენილების (www.matsne.gov.ge 24/02/2011, 200250000.10.003.016250) მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო ომბუდსმენის საქმიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი (შემდგომში – აპარატი), რომლის სტრუქტურასა და მუშაობის წესს განსაზღვრავს საგადასახადო ომბუდსმენი, აპარატის დებულებით. საგადასახადო ომბუდსმენს შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საგადასახადო ომბუდსმენი. საგადასახადო ომბუდსმენის მოადგილეების კომპეტენციები განისაზღვრება საგადასახადო ომბუდსმენის გადაწყვეტილებით.

2. საგადასახადო ომბუდსმენის მოადგილე/მოადგილეები და აპარატი მოქმედებენ საგადასახადო ომბუდსმენის სახელით და მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილებით.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



საქართველოს მთავრობის

დადგენილება №168

2015 წლის 20 აპრილი, ქ. თბილისი

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში (სსმ, 38, 27/03/2009) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №180

2015 წლის 24 აპრილი, ქ. თბილისი

2015-2016 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1

სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული და ნაწილობრივი ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის მიზნით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „გ2“ ქვეპუნქტების, 81-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 88-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:



1. 2015-2016 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის ან/და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული მიმართულების/მიმართულებების პროგრამული დაფინანსების მოცულობა განისაზღვროს **12 723 750** (თორმეტი მილიონ შვიდას ოცდასამი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარით.

2. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობა განისაზღვროს **12 600 000** (თორმეტი მილიონ ექვსასი ათასი) ლარით.

3. სრული და ნაწილობრივი ოდენობის სახელმწიფო სასწავლო გრანტები ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩარიცხული სტუდენტებისათვის გაიცემა **9 165 000** (ცხრა მილიონ ას სამოცდახუთი ათასი) ლარის ფარგლებში.

4. 2015-2016 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) მაქსიმალური ოდენობა – **2 250** ლარი;

ბ) საშუალო ოდენობა:

ბ.ა) **2 000** ლარი;

ბ.ბ) **1 750** ლარი;

ბ.გ) **1 500** ლარი;

ბ.დ) **1 250** ლარი;

გ) მინიმალური ოდენობა – **1 000** ლარი.

5. თუ სტუდენტმა მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობა, კერძო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ამ დაწესებულების მიერ დადგენილ სწავლის საფასურს სახელმწიფო ფარავს მხოლოდ სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.

6. 2015-2016 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობები კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დასაფინანსებლად განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) მაქსიმალური ოდენობა – სწავლის საფასურის **70** პროცენტი, მაგრამ არა უმეტეს **1 575** ლარისა;



ბ) მინიმალური ოდენობა – სწავლის საფასურის **50** პროცენტი, მაგრამ არა უმეტეს **1 125** ლარისა.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანხა განაწილდეს ერთიანი ეროვნული გამოცდის არჩევით საგნებზე შემდეგი პრინციპის დაცვით:

ა) ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანხა გაიყოს ორ ნაწილად და თანხის:

ა.ა) **50** პროცენტი განაწილდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შემდეგ არჩევით საგნებზე:

ა.ა.ა) ლიტერატურა;

ა.ა.ბ) ისტორია;

ა.ა.გ) გეოგრაფია;

ა.ა.დ) სამოქალაქო განათლება;

ა.ა.ე) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;

ა.ბ) **50** პროცენტი განაწილდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შემდეგ არჩევით საგნებზე:

ა.ბ.ა) მათემატიკა;

ა.ბ.ბ) ქიმია;

ა.ბ.გ) ფიზიკა;

ა.ბ.დ) ბიოლოგია;

ბ) თითოეულ ჯგუფში განაწილებული თანხის:

ბ.ა) **5%** თანაბრად განაწილდეს ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საგნობრივი ჯგუფის არჩევით საგნებზე, ხოლო **95%** პროპორციულად განაწილდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ყოველი არჩევითი საგნისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობის შესაბამისად;

ბ.ბ) **4%** თანაბრად განაწილდეს ამ პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საგნობრივი ჯგუფის არჩევით საგნებზე, ხოლო **96%** პროპორციულად განაწილდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ყოველი არჩევითი საგნისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობის შესაბამისად;



გ) ამ პუნქტით დადგენილი განაწილების შედეგად მიღებული თანხების 25% განაწილდება სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობით (100 პროცენტი) დაფინანსებისათვის, 25% განაწილდება სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მაქსიმალური ოდენობით (70 პროცენტი), ხოლო 50% ნაწილობრივი ოდენობის მინიმალური ოდენობით (50 პროცენტი) დაფინანსებისათვის.

8. ამ მუხლის მე-2-მე-7 პუნქტებით დადგენილი წესი არ გამოიყენება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხული იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებისას, რომლებიც გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. ამ სტუდენტთათვის 2015-2016 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობა შეადგენს 2 250 ლარს.

9. თუ ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულმა სტუდენტმა მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტი, კერძო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ამ დაწესებულების მიერ დადგენილ სწავლის საფასურს სახელმწიფო ფარავს მხოლოდ ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობის ფარგლებში.

10. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეადგენს 2 520 000 (ორი მილიონ ხუთას ოცი ათასი) ლარს.

11. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-80 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაფინანსება შეადგენს 240 000 (ორას ორმოცი ათასი) ლარს, რომელიც გაიცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად.

12. ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსება შეადგენს 225 000 (ორას ოცდახუთი ათასი) ლარს.

13. ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსება შეადგენს 225 000 (ორას ოცდახუთი ათასი) ლარს.



14. ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსება შეადგენს **10 000** (ათი ათასი) ლარს.

15. იმ აბიტურიენტთა დაფინანსება, რომელთაც ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამაზე აბსოლუტური ქულებით რანჟირების დოკუმენტით თანაბარი ქულები მოიპოვეს და ყველა მათგანის დაფინანსებისათვის საკმარისი არ არის სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობისათვის გამოყოფილი თანხა, განხორციელდება სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მაქსიმალური ოდენობისათვის გამოყოფილი თანხიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობისათვის გამოყოფილი თანხის დარჩენილი ნაწილი ემატება სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მაქსიმალური ოდენობისათვის გამოყოფილ თანხას.

16. იმ აბიტურიენტთა დაფინანსება, რომელთაც ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამაზე აბსოლუტური ქულებით რანჟირების დოკუმენტით თანაბარი ქულები მოიპოვეს და ყველა მათგანის დაფინანსებისათვის საკმარისი არ არის სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მაქსიმალური ოდენობისათვის გამოყოფილი თანხა, განხორციელდება სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მინიმალური ოდენობისათვის გამოყოფილი თანხიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მაქსიმალური ოდენობისათვის გამოყოფილი თანხის დარჩენილი ნაწილი ემატება სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მინიმალური ოდენობისათვის გამოყოფილ თანხას.

17. ის აბიტურიენტები, რომელთაც ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამაზე აბსოლუტური ქულებით რანჟირების დოკუმენტით თანაბარი ქულები მოიპოვეს და ყველა მათგანის დაფინანსებისათვის საკმარისი არ არის სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მინიმალური ოდენობისათვის გამოყოფილი თანხა, დაფინანსებას არ მიიღებენ.

18. ამ მუხლის მე-15-მე-17 პუნქტებით გათვალისწინებული განაწილება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ყოველი არჩევითი საგნის ჯგუფისა და საგნის შესაბამისად. ამ განაწილების შედეგად, ყოველი საგნის ჯგუფში არჩევითი საგნის მიხედვით დარჩენილი თანხები იკრიბება და განაწილდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ყოველი არჩევითი საგნის ჯგუფის შიგნით, არჩევით საგანზე, ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განაწილების შედეგად მიღებული პროპორციით, ნაწილობრივი ოდენობის მინიმალური ოდენობით (**50** პროცენტი) დაფინანსებისათვის.



19. იმ შემთხვევაში, თუ საგნის ჯგუფებს შიგნით დარჩენილი თანხის გადანაწილების დროს დარჩა თანხები, მაშინ აღნიშნული თანხა იკრიბება და ნაწილდება ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საგნებზე, ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განაწილების შედეგად მიღებული პროპორციით, ნაწილობრივი ოდენობის მინიმალური ოდენობით (**50 პროცენტი**) დაფინანსებისათვის.

20. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-19 პუნქტით გათვალისწინებული განაწილების შედეგად დარჩა თანხები, მაშინ აღნიშნული თანხა ნაწილდება ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საგნებზე, ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განაწილების შედეგად მიღებული პროპორციით, ნაწილობრივი ოდენობის მინიმალური ოდენობით (**50 პროცენტი**) დაფინანსებისათვის.

21. ის აბიტურიენტები, რომელთაც აბსოლუტური ქულებით რანჟირების დოკუმენტით თანაბარი ქულები მოიპოვეს და ყველა მათგანის დაფინანსებისათვის საკმარისი არ არის სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მინიმალური ოდენობისათვის გამოყოფილი თანხა, ამ მუხლის მე-18, მე-19 და მე-20 პუნქტებით გათვალისწინებული განაწილების შედეგად, დაფინანსებას არ მიიღებენ.

22. ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხული ის სტუდენტები, რომელთაც აბსოლუტური ქულებით რანჟირების დოკუმენტით თანაბარი ქულები მოიპოვეს და ყველა მათგანის დაფინანსებისათვის საკმარისი არ არის ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული თანხა, დაფინანსებას არ მიიღებენ.

23. ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხული ის სტუდენტები, რომელთაც აბსოლუტური ქულებით რანჟირების დოკუმენტით თანაბარი ქულები მოიპოვეს და ყველა მათგანის დაფინანსებისათვის საკმარისი არ არის ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული თანხა, დაფინანსებას არ მიიღებენ.

24. ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხული ის სტუდენტები, რომელთაც აბსოლუტური ქულებით რანჟირების დოკუმენტით თანაბარი ქულები მოიპოვეს და ყველა მათგანის დაფინანსებისათვის საკმარისი არ არის ამ მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული თანხა, დაფინანსებას არ მიიღებენ.

25. ამ მუხლის 21-ე, 22-ე და 23-ე პუნქტების შესაბამისად განაწილების შედეგად დარჩენილი თანხები, რომლებიც ამ მუხლით დადგენილი წესით ვერ განაწილდა, აგრეთვე ამ მუხლის მე-12, მე-13 და მე-14 პუნქტებით გათვალისწინებული თანხების განაწილების შედეგად დარჩენილი თანხები დაემატება ამ მუხლის 26-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თანხას.



26. ის სტუდენტები, რომლებიც სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მოიპოვებენ სრულ სახელმწიფო სასწავლო გრანტს, ნაწილობრივ სახელმწიფო სასწავლო გრანტს ან ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობის გაზრდის უფლებას, მოპოვებული ქულების მიხედვით, ამ მუხლის მე-15-მე-17 პუნქტებით დადგენილი წესით, დაფინანსდებიან **215 000** (ორას თხუთმეტი ათასი) ლარის ფარგლებში, შემდეგი ოდენობებით:

- ა) სრული სახელმწიფო სასწავლო გრანტი **70 000** (სამოცდაათი ათასი) ლარი;
- ბ) ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობა **70 000** (სამოცდაათი ათასი) ლარი;
- გ) ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიმალური ოდენობა **75 000** (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს მთავრობის

განკარგულება №808

2015 წლის 20 აპრილი, ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის **10¹** მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ – მეწარმეობის განვითარების სააგენტომ, ქვეყნის სამეწარმეო პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, საერთაშორისო სარეკლამო კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, **2015-2016** წლების სახელმწიფო ბიუჯეტებით, მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.



2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების მიმართ, არ გავრცელდეს ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-6, მე-7 პუნქტებითა და 21-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ-მინისტრი

ი. ღარიბაშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №99

2015 წლის 7 აპრილი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის 51-ე მუხლის მე-7 პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქონლის გაშვებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა – „ოქროს სიის“ მონაწილის კუთვნილ საქონელზე (ამ მუხლის „ბ¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის გარდა);“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ¹“ ქვეპუნქტი:



„ბ¹) საქონლის გაშვებიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღისა – „ოქროს სიის“ მონაწილის კუთვნილ, სეს ესნ-ის 1001 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ ხორბალზე“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №105

2015 წლის 16 აპრილი, ქ. თბილისი

„აქციზური მარკების ფერებისა და მათზე დატანილი ნუმერაციის განმსაზღვრელი სისტემის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 6 თებერვლის №89 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აქციზური მარკების ფერებისა და მათზე დატანილი ნუმერაციის განმსაზღვრელი სისტემის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 6 თებერვლის №89 ბრძანება.

მუხლი 2

ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე დაბეჭდილ აქციზურ მარკებს შეუნარჩუნდეთ იურიდიული ძალა სამომხმარებლო ბაზარზე.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური



საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №112

2015 წლის 23 აპრილი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

1. „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში „ბიუჯეტის განმკარგველის დასახელება“ შეტანილ იქნეს ცვლილება:

ა) ბიუჯეტის განმკარგველი კოდი - „0945“-ის (ა(ა)იპ - თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარების ცენტრი) შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „0946“ - „0949“ ბიუჯეტის განმკარგველი კოდები:

„334	0946	ა(ა)იპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპორტული ორთაბრძოლების კლუბი
335	0947	სსიპ ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრი
336	0948	სსიპ „სმირნოვების მუზეუმი“
337	0949	სსიპ თსუ-ს საკალათბურთო კლუბი „ს.კ. თსუ“;

ბ) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„680	4320	ა(ა)იპ „თბილისელების ადვოკატი“;
------	------	---------------------------------

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „4321“ - „4324“ ბიუჯეტის განმკარგველის კოდები:

„681	4321	ა(ა)იპ - სპორტული ცენტრი „ლილო“
682	4322	სსიპ „ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“
683	4323	ა(ა)იპ - თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი
684	4324	ა(ა)იპ - საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდი“.

2. „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით დამტკიცებულ დანართ №3-ში „ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდები“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:



ა) სახაზინო კოდი „7327“ -ის (ა(ა)იპ - თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარების ცენტრი) შემდეგ დაემატოს შემდეგი სახის სახაზინო კოდები:

„ა(ა)იპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპორტული ორთაბრძოლების კლუბის მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7328
სსიპ - ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7329
სსიპ „სმირნოვების მუზეუმი“-ის მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7330
სსიპ - თსუ-ს საკალათბურთო კლუბი „ს.კ. თსუ“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7331“;

ბ) სახაზინო კოდი - „8800“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:

„თვითმართველი ერთეულების დეპოზიტები	8800“.
-------------------------------------	--------

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №121

2015 წლის 28 აპრილი, ქ. თბილისი

„დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებას (სსმ III, №41,08.04.2005წ.,მუხლი 443) დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹⁰ პუნქტი:



„4¹⁰. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მივლინებული თავდაცვის ატაშეების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისა და მათი აპარატების თანამდებობის პირთა გრძელვადიანი მივლინების ანაზღაურებისა და შენახვის ხარჯების ყოველთვიური ნორმები განისაზღვროს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების №9 დანართის შესაბამისად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №135

2015 წლის 13 მაისი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:



„4¹. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საზღვაო ტრანსპორტით გასატანი საქონლის საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) ან საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობში დროებით შენახვის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის დინება ჩერდება საქონლის დროებით შენახვის ვადით და განახლდება დროებითი შენახვის დასრულებისთანავე.“;

ბ) მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12¹ პუნქტი:

„12¹. ტრანზიტით გადაადგილებული საქონლის დროებით შენახვის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული 20-დღიანი ვადის დინება ჩერდება საქონლის დროებით შენახვის ვადით და განახლდება დროებითი შენახვის დასრულებისთანავე.“;

გ) მე-13 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 და მე-15 პუნქტები:

„14. ფოთის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობის ან გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“ დანიშნულებით კონტეინერით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიტანის ვადა შეადგენს 12 საათს, რომელიც აითვლება სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით რეგისტრაციის მომენტიდან/საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის (დანართი №II-01) რეგისტრაციის მომენტიდან და დასრულდება გამოცხადებისას საბაჟო საწყობის ან გაფორმების ეკონომიკური ზონის მიერ ელექტრონული დადასტურებით, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული წესით.

15. ფოთის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობიდან ან გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთიდან“ ფოთის საზღვაო ნავსადგურის დანიშნულებით კონტეინერით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიტანის ვადა შეადგენს 12 საათს, რომელიც აითვლება საბაჟო საწყობიდან ან გაფორმების ეკონომიკური ზონიდან კონტეინერის გაშვების ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან და დასრულდება ფოთის საზღვაო ნავსადგურში გამოცხადების ელექტრონულად დადასტურებით.“.

2. მე-7 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით.“.

3. მე-9 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„დ) ფოთის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობის ან გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“ დანიშნულებით, ან ფოთის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობიდან ან გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთიდან“ ფოთის საზღვაო ნავსადგურის დანიშნულებით კონტეინერით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებისა, თუ მათი აღრიცხვა და კონტროლი ხორციელდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული წესით, სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით;“;

ბ) „ო“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ“ ქვეპუნქტი:

„პ) საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) ან ამავე ტერიტორიიდან მის მომიჯნავე საბაჟო საწყობში გადაადგილებული საქონლისა.“.

4. მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. განაცხადი არ წარედგინება და საქონლის დროებით შენახვის საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა ხორციელდება დამოწმებული მოწმობით ან დეკლარაციით:

ა) მოწმობით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დროებით შენახვისას, როდესაც საქონელი არ ჩამოიტვირთება სატრანსპორტო საშუალებიდან;

ბ) მოწმობით გადაადგილებული იმ საქონლის დროებით შენახვისას, რომელიც საბაჟო საწყობში ან საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) ჩამოიტვირთა სატრანსპორტო საშუალებიდან, მაგრამ არ ამოწურულა განაცხადის წარდგენის 30-დღიანი ვადა;

გ) საბაჟო დეკლარაციის წარდგენით ექსპორტში ან რეექსპორტში ან გარე გადამუშავებაში ან საწყობის სასაქონლო ოპერაციიდან ტრანზიტში დეკლარირებული საქონლის დროებით შენახვისას.“.

5. მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. საქონლის დროებით შენახვის ვადა

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონლის სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრამდე დროებით შენახვა შესაძლებელია ამ ინსტრუქციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ვადით (გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).



2. სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრამდე ან სასაქონლო ოპერაციის (გარდა ექსპორტისა) განსაზღვრის შემდეგ საქონლის საბაჟო საწყობში დროებით შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 კალენდარულ წელს, ხოლო ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის შემთხვევაში – 120 კალენდარულ დღეს.

3. საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) საქონლის დროებით შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 90 კალენდარულ დღეს.

4. საქონლის დროებით შენახვის ვადა აითვლება:

ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ საქონელზე:

ა.ა) საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის ზოგადი დეკლარირების საფუძველზე გაცემული მოწმობის რეგისტრაციის თარიღიდან;

ა.ბ) სეს ესნ-ის **8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705** და **8711** სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან **8716** სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მისაბმელზე და ნახევრადმისაბმელზე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ან მოწმობის შევსების თარიღიდან;

ა.გ) საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) დროებით შენახვისას – ზოგადი დეკლარირებიდან;

ა.დ) ფოთის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობის ან გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“ დანიშნულებით კონტეინერით გადაადგილებულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე, თუ მათი აღრიცხვა და კონტროლი არ ხორციელდება მოწმობით, – შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით რეგისტრაციის თარიღიდან;

ა.ე) თავისი სვლით გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მისაბმელზე და ნახევრადმისაბმელზე, ამ სატრანსპორტო საშუალებით ფიზიკური პირის მიერ გადაადგილებულ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტ საქონელზე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ავტოსატრანსპორტო საშუალების და საქონლის რეგისტრაციის ან მოწმობის რეგისტრაციის თარიღიდან;

ა.ვ) რომელზეც განსაზღვრულია სასაქონლო ოპერაცია – დეკლარაციის დამოწმების თარიღიდან;



ა.ზ) საფოსტო გზავნილით შემოტანილ საქონელზე – საფოსტო გზავნილების ნუსხის საგადასახადო ორგანოში წარდგენის თარიღიდან.

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატან საქონელზე – განაცხადის რეგისტრაციის ან **ASYCUDA**-ს პროგრამაში მოწმობის გამოცხადების ელექტრონულად დადასტურების ან საბაჟო დეკლარაციის დამოწმების თარიღიდან, ხოლო საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) დროებით შენახვისას – საქონლის ფაქტობრივი განთავსების დღიდან.

5. თუ ამ მუხლის პირველი – მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ ვადაში არ განხორციელდა დროებით შენახულ საქონელზე სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის დასრულებისათვის, ან უკვე განსაზღვრული სასაქონლო ოპერაციის დასრულებისათვის აუცილებელი პროცედურები, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის **221-ე** მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევისას, საგადასახადო ორგანო დადგენილი წესით აცნობებს დეკლარანტს (იმ შემთხვევაში, როცა საგადასახადო ორგანოს მიერ იდენტიფიცირებულია დეკლარანტი) ან საქონლის მფლობელს საქონლის განკარგვის შესახებ თავისი განზრახვის თაობაზე და უდგენს აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს **30** კალენდარულ დღეს. დადგენილ ვადაში დეკლარანტის ან საქონლის მფლობელის მიერ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ან საქონლის რეექსპორტის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო არ ახორციელებს საქონლის განკარგვას.“

6. მე-20 მუხლის:

ა) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის ფაქტობრივი განთავსების შემთხვევაში – არა უგვიანეს **30** კალენდარული დღისა, საბაჟო საწყობში საქონლის დროებით შენახვისას – დროებით შენახვის განაცხადის რეგისტრაციის თარიღიდან არა უგვიანეს **5** კალენდარული წლისა, საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) საქონლის დროებით შენახვისას – საქონლის ფაქტობრივი განთავსების დღიდან არა უგვიანეს **90** კალენდარული დღისა, ხოლო გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ საქონელზე ექსპორტის გამოყენებისას – გადამუშავების ვადის გასვლამდე.“;

ბ) მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. საზღვაო გზით შემოტანილი საქონლის საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) დროებით შენახვის შემთხვევაში – საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხორციელდება ზოგადი დეკლარირებიდან არა უგვიანეს **90** კალენდარული დღისა.“



7. მე-40 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ან დეკლარირებული სატრანსპორტო საშუალების მიმართ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების (მესაკუთრისათვის ან კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნება ან სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა) გამოყენების შემთხვევაში;“;

ბ) მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ან დეკლარირებული სატრანსპორტო საშუალების მიმართ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების (მესაკუთრისათვის ან კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნება ან სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა) გამოყენებისას.“.

8. 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სეს ესნ-ის **842641** და **842649** სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებულ თვითმავალ მექანიზმებზე, **842710** და **842720** სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებულ თვითმავალ სატვირთველებზე, **8429**, **8701**, **8702**, **8703** (გარდა ამ პოზიციით გათვალისწინებული კვადროციკლებისა, ძრავის ცილინდრების მუშა მოცულობით არა უმეტეს **50** სმ³-ისა), **8704**, **8705**, **8709**, **8710**, **8711** (გარდა ამ პოზიციით გათვალისწინებული მოტოციკლებისა და ველოსიპედებისა, ძრავის ცილინდრების მუშა მოცულობით არა უმეტეს **50** სმ³-ისა), **8716** (გარდა ამ პოზიციით გათვალისწინებული ხელის ურიკებისა და **871690** სასაქონლო სუბპოზიციით გათვალისწინებული ნაწილებისა) სასაქონლო პოზიციებით და **88**, **89** (**8903 10** სასაქონლო სუბპოზიციით გათვალისწინებული გასაბერი ნაგებების გარდა) სასაქონლო ჯგუფებით გათვალისწინებულ საქონელზე, გარდა გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ფოთში“ ან გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ბათუმში“ (ბაქოს ქ. №11-ში) საზღვაო გზით შემოტანილი ან საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გაფორმების მთავარი სამმართველოს საქონლის გაფორმების სამმართველოში წარდგენილი ავტომანქანით გადაადგილებული ავტონაწილებისა.“.

9. 55-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„3. თუ დეკლარანტის მიზეზით შეუძლებელია დადგენილ ვადაში (საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის ფაქტობრივი განთავსების შემთხვევაში – არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა, საქონლის საბაჟო საწყობში დროებით შენახვისას – დროებით შენახვის განაცხადის რეგისტრაციის თარიღიდან არა უგვიანეს 5 კალენდარული წლისა, საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) საქონლის დროებით შენახვისას – საქონლის ფაქტობრივი განთავსების დღიდან არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა) ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, ან ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონელი 5 სამუშაო დღის ვადაში (დროებითი დასაწყობების შემთხვევის გარდა) არ იქნება გატანილი საბაჟო კონტროლის ზონიდან, საგადასახადო ორგანო აცნობებს დეკლარანტს საქონლის განკარგვის შესახებ თავისი განზრახვის თაობაზე და ადგენს ამ პუნქტში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს. თუ დადგენილ ვადაში დეკლარანტი არ აღმოფხვრის ნაკლოვანებებს ან არ მოითხოვს დეკლარაციის ბათილად ცნობას, შემოსავლების სამსახური ახორციელებს საქონლის განკარგვას.“.

10. 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) უსასყიდლოდ ჩამორთმეული ან სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაცემამდე, კანონმდებლობით დადგენილი ზოგიერთი კატეგორიის საქონლის მიმართ დაწესებული შენახვის განსაკუთრებული რეჟიმის გათვალისწინებით;“.

11. მე-80 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გარე გადამუშავებაზე სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის ფაქტობრივი განთავსების შემთხვევაში – არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა, საქონლის საბაჟო საწყობში დროებით შენახვისას – დროებით შენახვის განაცხადის რეგისტრაციის თარიღიდან არა უგვიანეს 5 კალენდარული წლისა, საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) დროებით შენახვისას – ფაქტობრივი განთავსების დღიდან არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა.“.

12. 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მიღება-ჩაბარების (მიღება-გადაცემის) აქტი და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ოფიციალური მონაცემები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ელექტრონერგის, წყლის და ბუნებრივი აირის მიწოდება ხორციელდება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქონლის ადგილზე მოხმარებისათვის.“.



13. 105-ე მუხლის:

ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) საქონლის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემა.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დეკლარანტის ინიციატივით შესაძლებელია განხორციელდეს საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემა ან განადგურება ამ ინსტრუქციისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.“;

გ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. საგადასახადო ორგანო დეკლარანტის ინიციატივით თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემული საქონლის შესახებ ინფორმაციას გადასცემს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს.“.

14. 106-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქონლის სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე დეკლარანტი განცხადებით მიმართავს იმ საგადასახადო ორგანოს, რომელიც ახორციელებს საბაჟო კონტროლის პროცედურებს, ხოლო იმ საქონელზე, რომლის მიმართ სასაქონლო ოპერაცია გაცხადებულია საბაჟო დეკლარაციის წარდგენით – გაფორმების საგადასახადო ორგანოს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური





საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან
საქმეთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №129/№326

2015 წლის 4 მაისი, ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №985-№1187 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №985-№1187 ერთობლივი ბრძანებით (სსმ III, №172, 31.12.2010) დამტკიცებული წესის მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13

ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელების შემთხვევაში (საბაჟო საწყობში დროებითი დასაწყობების გარეშე) საგადასახადო ორგანო ვალდებულია, სატრანსპორტო საშუალების გაფორმებისას ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში მითითებული, დანიშნულების ადგილზე გამოცხადების თარიღი შეცვალოს საბაჟო დეკლარაციის ან სატრანსპორტო საშუალების წარდგენის თარიღით, ხოლო გრაფაში – „გამოცხადების ვადის გაგრძელება“ მიუთითოს: ცვლილების განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს კოდი, მომსახურების გაწევსათვის (საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელებისათვის) საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები (ნომერი და თარიღი) და სხვა დამატებითი ინფორმაცია.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 15 მაისიდან.

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური



საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან
საქმეთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №130/№325

2015 წლის 4 მაისი, ქ. თბილისი

„კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №988-№1188 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №988-№1188 ერთობლივი ბრძანებით (სსმ, №172, 31/12/2010, სარეგისტრაციო კოდი – 230150070.22.033.016107) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დეკლარაციის წარდგენა ხდება 60 კალენდარულ დღეში (სეს ესნ-ის 8429 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – 30 კალენდარულ დღეში), რომელიც აითვლება:

ა) თავისი სვლით გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მისაბმელზე და ნახევრადმისაბმელზე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის თარიღიდან;

ბ) გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე – გამგზავნ საგადასახადო ორგანოში საქონლის ზოგადი დეკლარირების საფუძველზე გაცემული „საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობისათვის“ მინიჭებული „D“ ნომრის გასწვრივ მითითებული შევსების თარიღიდან.

3. ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო საწყობში დროებით შენახვის შემთხვევაში, დეკლარაციის წარდგენის 60-დღიანი (სეს ესნ-ის 8429 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – 30 დღიანი) ვადა იზრდება დროებით შენახვის (ფაქტობრივი) ვადით.“.



2. 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დეკლარაციის წარდგენა ხდება **60** კალენდარულ დღეში (სეს ესნ-ის **8429** სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – **30** კალენდარულ დღეში), რომელიც აითვლება:

ა) თავისი სვლით გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მისაბმელზე და ნახევრადმისაბმელზე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის თარიღიდან;

ბ) გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე – გამგზავნ საგადასახადო ორგანოში საქონლის ზოგადი დეკლარირების საფუძველზე გაცემული „საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობისათვის“ მინიჭებული „D“ ნომრის გასწვრივ მითითებული შევსების თარიღიდან.

3. ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო საწყობში დროებით შენახვის შემთხვევაში, დეკლარაციის წარდგენის **60-დღიანი** (სეს ესნ-ის **8429** სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – **30** დღიანი) ვადა იზრდება დროებით შენახვის (ფაქტობრივი) ვადით.“.

3. 26-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო საწყობში დროებით შენახვის შემთხვევაში, რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციის განხორციელების ადგილამდე მიტანის **60-დღიანი** (სეს ესნ-ის **8429** სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – **30** დღიანი) ვადა იზრდება დროებით შენახვის (ფაქტობრივი) ვადით.“.

4. 28-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დეკლარაციის წარდგენა ხდება **60** კალენდარულ დღეში (სეს ესნ-ის **8429** სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – **30** კალენდარულ დღეში), რომელიც აითვლება:

ა) თავისი სვლით გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მისაბმელზე და ნახევრადმისაბმელზე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის თარიღიდან;

ბ) გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე – გამგზავნ საგადასახადო ორგანოში საქონლის ზოგადი დეკლარირების საფუძველზე გაცემული „საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობისათვის“ მინიჭებული „D“ ნომრის გასწვრივ მითითებული შევსების თარიღიდან.

3. ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო საწყობში დროებით შენახვის შემთხვევაში, დეკლარაციის წარდგენის **60-დღიანი** (სეს ესნ-ის **8429** სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – **30** დღიანი) ვადა იზრდება დროებით შენახვის (ფაქტობრივი) ვადით.“.



მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 15 მაისიდან და მისი მოქმედება გავრცელდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 2015 წლის 31 მარტის შემდეგ შემოტანილ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე.

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №131

2015 წლის 4 მაისი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი, საქართველოში არარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების გაფორმების ადგილამდე ან სხვა საბაჟო კონტროლის ზონამდე მიტანის ვადა (გარდა ამ მუხლის მე-6-მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) განისაზღვრება 60 კალენდარული დღით, ხოლო სეს ესნ-ის 8429 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – 30 კალენდარული დღით.

6. სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის საბაჟო საწყობში დროებით შენახვის შემთხვევაში, საქონლის გაფორმების ადგილზე მიტანის 60-დღიანი ვადა იზრდება დროებით შენახვის (ფაქტობრივი) ვადით.“.

**2. მე-20 მუხლის:****ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. სეს ესნ-ის **8701, 8702, 8703, 8704, 8705** და **8711** სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა **50** სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე **4** კვტ-ზე მეტია) ან **8716** სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის დეკლარირება ხდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ან მოწმობის შევსების თარიღიდან **60** კალენდარულ დღეში.“;

ბ) მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სეს ესნ-ის **8701, 8702, 8703, 8704, 8705** და **8711** სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა **50** სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე **4** კვტ-ზე მეტია) ან **8716** სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მისაბმელზე და ნახევრადმისაბმელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის გაგრძელება შესაძლებელია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის **2010** წლის **30** მარტის №**96** დადგენილებით გათვალისწინებული საფასურის გადახდით, არა უმეტეს **30** კალენდარული დღით.

6. სეს ესნ-ის **8701, 8702, 8703, 8704, 8705** და **8711** სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა **50** სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე **4** კვტ-ზე მეტია) ან **8716** სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის საბაჟო საწყობში დროებით შენახვის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ, საბაჟო დეკლარაციის წარდგენის **60**-დღიან ვადას ემატება დროებით შენახვის (ფაქტობრივი) ვადა.“.

3. 33-ე მუხლის:**ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:**

„ლ) საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სეს ესნ-ის **8702**-ე სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილის (რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება **8**-ს, მაგრამ არ აღემატება **16**-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება **8** მეტრს, აგრეთვე გადამბულისა მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება **750** კგ-ს), **8703** სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა **50** სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე **4** კვტ-ზე მეტია), **8704 21** და **8704 31** სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებული ძრავიანი



სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე შენახვისას.“;

ბ) მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დ) თავდებობის ხელშეკრულება (დანართი VI-03):

დ.ა) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის დეკლარირებისას, როდესაც საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთი არ არის წარდგენილი ან წარდგენილია ხარვეზით;

დ.ბ) ფიზიკური პირის მიერ საწყობის სასაქონლო ოპერაციაში გაცხადებული სეს ესნ-ის 8702-ე სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილის (რომლის დასახდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, აგრეთვე გადაბმულისა მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს), 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), 8704 21 და 8704 31 სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე შენახვისას. ამასთან, ერთი თავდებობის ხელშეკრულებით შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე წარმოსაშობი ვალდებულება, დეკლარანტის მიერ თავდებობის ხელშეკრულებების გამოყენებით შესაძლებელია ერთდროულად არა უმეტეს 3 ერთეული სატრანსპორტო საშუალების შენახვა, ხოლო პირი ერთდროულად შესაძლებელია წარმოადგენდეს თავდებს მხოლოდ ერთი სატრანსპორტო საშუალების შენახვაზე.“.

4. 34-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:

„ლ) საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სეს ესნ-ის 8702 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილის (რომლის დასახდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, აგრეთვე გადაბმულისა მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს), 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), 8704 21 და 8704 31 სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე შენახვისას – იმპორტის გადასახდელების შესაბამის თანხას, რომელიც გადაიხდებიან ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას.“.

5. „დანართი VI-03“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.



6. 43-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხდება **60** კალენდარულ დღეში (სეს ესნ-ის **8429** სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – **30** კალენდარულ დღეში), რომელიც აითვლება:

ა) თავისი სვლით გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მისაბმელზე და ნახევრადმისაბმელზე – შსს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის თარიღიდან;

ბ) სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე – საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ გაცემული მოწმობის „D“ ნომრის გასწვრივ მითითებული შევსების თარიღიდან.“.

7. 62-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე, არა უმეტეს **30** კალენდარული დღით – სეს ესნ-ის **8702** სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილის (რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება **8**-ს, მაგრამ არ აღემატება **16**-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება **8** მეტრს, აგრეთვე გადაბმულისა მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება **750** კგ-ს), **8703** სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა **50** სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე **4** კვტ-ზე მეტია), **8704 21** და **8704 31** სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისა, თუ ამოიწურა საბაჟო დეკლარაციის წარდგენისათვის ამ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გაგრძელებული ვადა და წარდგენილია არანაკლებ იმპორტის გადასახდელების თანხის შესაბამისი გარანტია.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს **2015** წლის **15** მაისიდან და მისი მოქმედება გავრცელდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე **2015** წლის **31** მარტის შემდეგ შემოტანილ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური



„დანართი VI-03

საქართველოს რეზიდენტის თავდებობის ხელშეკრულება

„-----“ ----- 20-- წ.

თავდების სრული დასახელება

ან სახელი, გვარი -----

თავდების ს/ნ ან პ/ნ -----

საგადასახადო ორგანო -----

ძირითადი მოვალე

(გადასახადის გადამხდელი) -----

თავდების ვალდებულება: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 249-ემუხლის თანახმად, თავდები სოლიდარულად კისრულობს გამოუწვევად ვალდებულებას, საგადასახადო ორგანოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე, სრული მოცულობით დაფაროს ძირითადი მოვალის (გადასახადის გადამხდელის) საგადასახადო დავალიანება:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქონელზე (თუ გადასახადის გადამხდელი 20 წლის ----- მდე არ წარუდგენს შემოსავლების სამსახურს საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელ საბუთს).

იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე შენახვით საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ სატრანსპორტო საშუალებაზე, საიდენტიფიკაციო (VIN/შასის) ნომრით – -----

შენიშვნა: თავდების ვალდებულების საფუძველი მიეთითება შესაბამისი უჯრედის მონიშვნით.

თავდებობის ზღვრული თანხა: -----

თავდების ხელმოწერა -----

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა -----“.



შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №10485

2015 წლის 1 აპრილი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1.

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) მე-2 ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გაფორმების ეკონომიკური ზონები და გაფორმების სხვა ადგილები

№	კოდი	მისამართები
1		გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი“:
	11111; 99111	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ;
	20111	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის)
2		გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმი“:
	11112; 69600	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ადლია, სენაკი-ფოთის-სარგის საავტომობილო გზის 106-ე კმ;
	20112	ქ. ბათუმი, ბაქოს ქ. №11;
	69605	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ადლია, სენაკი-ფოთის-სარგის საავტომობილო გზის 106-ე კმ (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის); ქ. ბათუმი, ბაქოს ქ. №11 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის); ქ. ბათუმი, ტბელ-აბუსერიძის ქ. №11, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ბათუმის განყოფილების შენობა



3	<p>11113; 69500</p> <p>20113</p> <p>69510</p> <p>69511</p> <p>69555</p>	<p>გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთი“:</p> <p>ქ. ფოთი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №32;</p> <p>ქ. ფოთი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №32 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>ქ. ფოთი, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ფოთის განყოფილების შენობა;</p> <p>ქ. ზუგდიდი, პარიზის კომუნის ქ. №7, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ზუგდიდის განყოფილების შენობა;</p> <p>ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოზურგეთი, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ოზურგეთის განყოფილების შენობა</p>
4	<p>11114; 99114</p> <p>20010</p> <p>20114</p>	<p>გაფორმების ეკონომიკური ზონა „აეროპორტი“:</p> <p>ქ. თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია;</p> <p>ქ. თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია (მხოლოდ საფოსტო გზავნილების გაფორმებისათვის);</p> <p>ქ. თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის)</p>
5	<p>69221; 99221</p> <p>20002</p> <p>69000; 99000</p> <p>69043</p> <p>69250</p>	<p>საბაჟო გაფორმების მთავარი სამმართველოს საქონლის გაფორმების სამმართველო:</p> <p>გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ. ;</p> <p>გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ. (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ. (მხოლოდ საექსპორტო ან სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>საქართველოს საბაჟო საზღვრიდან ქ.თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურის ტერიტორიის ჩათვლით და უკუმიმართულებით მოძრავი ერევანი-ბათუმი-ერევანი, ბათუმი – ერევანი – ბათუმის საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის ძირითადი მარშრუტის მსვლელობის სწრაფი სამგზავრო მატარებელი (იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პროცედურის მატარებელში წარმართვა, საქონლის გაფორმება განხორციელდება უახლოეს ან დეკლარანტის მიერ შერჩეულ გაფორმების ადგილზე) ;</p> <p>ქ. გორი, მოსკოვის ქ. №1, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. გორის განყოფილების შენობა</p>



6	<p>69017; 99017</p> <p>20002</p> <p>69070</p>	<p>თელავის განყოფილება: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41;</p> <p>ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>ქ. თელავი, ჩოლოყაშვილის ქ. №21, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. თელავის განყოფილების შენობა</p>
7	<p>69300; 99300</p> <p>20002</p> <p>69350</p>	<p>ახალციხის განყოფილება: ქ. ახალციხე, პ. ნათენაძის ქ. №54;</p> <p>ქ. ახალციხე, პ. ნათენაძის ქ. №54 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>ქ. ახალციხე, ახალქალაქის გზატკეცილი №2, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ახალციხის განყოფილების შენობა</p>
8	<p>69400; 99400</p> <p>20004</p> <p>69450</p>	<p>ქუთაისის განყოფილება: ქ. ქუთაისი, ივ.ჯავახიშვილის ქ. №5 ;</p> <p>ქ. ქუთაისი, ივ.ჯავახიშვილის ქ. №5 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ქუთაისის განყოფილების შენობა</p>
9	<p>69014; 99014</p> <p>20002</p> <p>69050</p>	<p>რუსთავის განყოფილება: ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. №36;</p> <p>ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. №36 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოს სარეგისტრაციო განყოფილების შენობა</p>
10	<p>11116; 99116</p> <p>11115; 99115</p> <p>20116</p>	<p>გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი 2“ გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ.;</p> <p>გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ. (მხოლოდ სასაქონლო პარტიათა წაკრებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის გაფორმებისათვის)</p> <p>გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ. (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის)</p>

**მუხლი 2.**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 1 აპრილიდან.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №10626

2015 წლის 2 აპრილი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული:

ა) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №8):

ა.ა) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს“ ქვეპუნქტი:

„ს) საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების საკითხების შეფასების (ტრანსფერფრაიზინგის) განყოფილება;“;

ა.ბ) მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

„4. საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების საკითხების შეფასების (ტრანსფერფრაიზინგის) განყოფილების ფუნქციებია:

ა) საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით, საგადასახადო შემოწმებების ჩატარება და მიმდინარე საგადასახადო შემოწმებებში ჩართვა, საწარმოებს შორის განხორციელებული კონტროლირებული ოპერაციების შეფასების კუთხით, თუ ოპერაციის ერთ-ერთი მხარე:

ა.ა) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნის რეზიდენტია;

ა.ბ) იკვეთება ურთიერთდამოკიდებულება საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVII თავის მოთხოვნათა შესაბამისად.



ბ) საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში საგადასახადო შემოწმების აქტების შედგენა, შემოწმების მასალების განხილვა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დასკვნების მომზადება (მათ შორის, საგადასახადო დავებთან დაკავშირებით, ხარისხის კონტროლის შედეგებზე მომზადებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით), შემოწმების მასალების განხილვის შედეგებზე გადასახადების ან/და სანქციების დარიცხვის, შემცირების ან არდარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით, დეპარტამენტის შესაბამისი სამმართველოსთვის მასალების წარდგენა;

გ) საგადასახადო შემოწმების აქტების/ოქმების პროექტების შედგენა და განხილვა. სათანადო დანართებთან ერთად, მათი შესაბამისი სამმართველოსათვის გადაგზავნა ან/და გადასახადის გადამხდელისათვის გადაცემა;

დ) შესაბამისი საფუძვლების არსებობის პირობებში (აქტის/ოქმის პროექტებთან დაკავშირებით, აუდიტის დეპარტამენტის სათათბირო საბჭოს ან/და შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს გადაწყვეტილებები) სათანადო დასკვნების ან/და საგადასახადო შემოწმების აქტის შედგენის უზრუნველყოფა;

ე) შემოწმების მასალებიდან გამომდინარე, შემხვედრი საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ დეპარტამენტის უფროსისათვის წინადადებების წარდგენა ან/და შესაბამისი სამმართველოსთვის სათანადო მასალების მიწოდების უზრუნველყოფა;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო სამართალდარღვევის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმების შედგენის და აუდიტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოსათვის შემდგომი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაცემის უზრუნველყოფა;

ზ) დანაშაულის ნიშნების არსებობისას საგამომიებო ორგანოსათვის გადაცემის მიზნით, შემოწმების მასალების მიწოდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის და კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო შემოწმების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი საგამომიებო, მაკონტროლებელ და სხვა ორგანოებთან თანამშრომლობა;

თ) საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ქვეყნებიდან ინფორმაციის გამოთხოვის წინადადებების წარდგენა აუდიტის დეპარტამენტის უფროსისათვის;

ი) საგადასახადო კანონმდებლობაში ხარვეზების გამოვლენა და შესაბამისი წინადადებების დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

კ) დეპარტამენტის ხელმძღვანელობის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულება.

5. საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების საკითხების შეფასების (ტრანსფერფრაიზინგის) განყოფილება ასევე უფლებამოსილია, განახორციელოს საგადასახადო შემოწმება იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები.“

ბ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №9) :

ბ.ა) მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ძ1“ ქვეპუნქტი:



„პ“) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული ფილტრიანი სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ლერზე და უფილტრო სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ლერზე (შემდგომში საქონელი) საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით, უზნის ოფიცერთა სამმართველოს მიერ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასების გამოთვლა, საქონლის მწარმოებელი/იმპორტიორის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასთან შედარება და საქართველოს ფინანსთა მინისტრისათვის წარსადგენად შესაბამისი ინფორმაციის მომზადება.“

ბ.ბ) მე-13 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ“ ქვეპუნქტი:

„პ“) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული ფილტრიანი სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ლერზე და უფილტრო სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ლერზე (შემდგომში საქონელი) საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით, საქონლის მწარმოებელი/იმპორტიორის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით გათვალისწინებულ თითოეული დასახელების/ქვედასახელების საქონელზე საცალო სარეალიზაციო ფასების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შემოსავლების სამსახურის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.“

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი
გიორგი თაბუაშვილი



**შემოსავლების სამსახურის უფროსის****ბრძანება №12305****2015 წლის 17 აპრილი, ქ. თბილისი**

„გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 22 მარტის №1205 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1. „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 22 მარტის №1205 ბრძანებით დამტკიცებულ მეთოდურ მითითებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მეთოდური მითითების მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 9¹ და 9² პუნქტები:

„9¹. საშემოსავლო გადასახადის მიხედვით ბიუჯეტში ჩარიცხულ თანხებზე გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათზე სავარაუდო დარიცხვა კეთდება აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 153-ე მუხლის 3¹ ნაწილით (2011 წლამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 95-ე მუხლის მე-9 ნაწილით) განსაზღვრულ შემთხვევაში. სავარაუდო დარიცხვა უნდა განხორციელდეს ბიუჯეტში ჩარიცხული თანხის საანგარიშო პერიოდისათვის (წლისათვის) კანონმდებლობით დადგენილი წლიური დეკლარაციის წარმოდგენის ვადის გასვლის შემდეგ. კერძოდ:

ა) იმ შემთხვევაში, როდესაც გადამხდელის მიერ გადახდილი გადასახადის თანხა ტოლია ან ნაკლებია გადახდის თარიღისათვის საშემოსავლო გადასახადში არსებული ნარჩენი დავალიანებების თანხაზე, სავარაუდო დარიცხვა არ განხორციელდება და გადახდილი თანხით დაიფარება ნარჩენი დავალიანება;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელის მიერ გადახდილი გადასახადის თანხა აღემატება საშემოსავლო გადასახადში არსებული ნარჩენი დავალიანების თანხას და ფიზიკური პირის მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი წლიური დეკლარაცია, სავარაუდო დარიცხვა უნდა გავრცელდეს გადახდილ და საშემოსავლო გადასახადში არსებულ დავალიანებას შორის დადებითი სხვაობის თანხაზე. ხოლო შემდგომ დეკლარაციის წარდგენისას (ან/და გადამხდელის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენისას) მოხდება ბარათზე რიცხული ნაშთის ხელახალი გადაანგარიშება, ანუ დეკლარაციის სავარაუდო დარიცხვის მოხსნა და დეკლარირებული თანხის დარიცხვა.



9². იმ შემთხვევაში, როდესაც ბიუჯეტში თანხა ჩარიცხულია იმ საგადასახადო წელს, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით წარმოადგენს ხანდაზმულ პერიოდს, ამ მუხლის 9¹ პუნქტით გათვალისწინებული სავარაუდო დარიცხვა ხორციელდება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე გადასახადის თანხის დარიცხვის ოპერაციის განხორციელების მომენტისათვის.“.

1. მეთოდური მითითების 12¹ მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს საგადასახადო ორგანოს ინიციატივით, იმ გადამხდელის მიმართ, რომლებსაც 2005 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 25 დეკემბრამდე პირადი აღრიცხვის ბარათზე არ უფიქსირდებათ დარიცხვა. ამასთან, საგადასახადო ორგანოს ინიციატივით საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა ასევე შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოს მიერ განხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების იდენტიფიცირება.“.

2. მეთოდური მითითების 12¹ მუხლის მაგალითი 1-ის შემდეგ დაემატოს მაგალითი 1¹:

„მაგალითი 1¹:

პირს 2005 წლის 1 იანვრისათვის ერიცხება საგადასახადო დავალიანება საშემოსავლო გადასახადში ძირითადი თანხა - 1000 ლარი, ჯარიმა - 300 ლარი და საურავი - 1500 ლარი; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადში - 400 ლარი.

პირს 2005 წლის 1 იანვრის შემდეგ დავალიანების თანხის ჩამოწერამდე დაერიცხა 2005 წლის კუთვნილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 15.11.2005 წლის სავადოთი 100 ლარი. ამასთან, პირს 02.12.2005 წელს გადახდილი აქვს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის ნაწილში 100 ლარი. სხვა მხრივ ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ უწარმოებია და 2015 წლის 6 იანვარს საგადასახადო ორგანოში შეიტანა განცხადება 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით.

მოცემულ შემთხვევაში:

პირი აკმაყოფილებს სსკ-ის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირობებს და უნდა ჩამოეწეროს 2014 წლის 24 დეკემბრისათვის არსებული სალდირებული საგადასახადო დავალიანება ნაწილობრივ. კერძოდ, ჩამოიწერება საშემოსავლო გადასახადში ძირითადი თანხა - 1000 ლარი, ჯარიმა - 300 ლარი და საურავი 1500 ლარი. ამასთან, ვინაიდან 02.12.2005 წელს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის ნაწილში გადახდილი 100 ლარით დაფარულია 2005 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ქონების გადასახადში არსებული დავალიანების ძირითადი თანხის - 400 ლარის ნაწილი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადში ჩამოსაწერ დავალიანებას წარმოადგენს ძირითადი თანხა - 300 ლარი (400 ლარი მცირდება 02.12.2005 წელს გადახდილი 100 ლარით) და საურავი (15.11.2005 წლის სავადოთი დარიცხულ 100 ლარზე საურავი არ ჩამოიწერება).“.



1. მეთოდური მითითების 12¹ მუხლის მაგალითი 4-ის შემდეგ დაემატოს მაგალითი 4¹:

„მაგალითი 4¹:

პირს **2005** წლის **1** იანვრისათვის ერიცხება საგადასახადო დავალიანება საშემოსავლო გადასახადში ძირითადი თანხა – **1000** ლარი, ჯარიმა – **300** ლარი და საურავი – **1500** ლარი; ამავდროულად ზედმეტად გადახდილი თანხა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადში **400** ლარი.

პირმა **2005** წლის **1** იანვრის შემდეგ დავალიანების თანხის ჩამოწერამდე განახორციელა საბიუჯეტო გადარიცხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადში **10.11.2005** წელს **500** ლარი და დაერიცხა **2005** წლის კუთვნილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი **15.11.2005** წლის სავადოთი **700** ლარი. სხვა მხრივ ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ უწარმოებია და **2015** წლის **6** იანვარს საგადასახადო ორგანოში შეიტანა განცხადება **2005** წლის **1** იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით.

მოცემულ შემთხვევაში:

პირი აკმაყოფილებს სსკ-ის **309-ე** მუხლის **37-ე** ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირობებს და უნდა ჩამოეწეროს **2014** წლის **24** დეკემბრისათვის არსებული სალდირებული საგადასახადო დავალიანება ნაწილობრივ. კერძოდ, ჩამოიწერება საშემოსავლო გადასახადში ძირითადი დავალიანება **600** ლარი (**1000 - 400**), ჯარიმა - **300** ლარი და **2005** წლის **1** იანვრამდე არსებულ ძირითად დავალიანებაზე (**600** ლარი) დარიცხული საურავი.“.

2. მეთოდური მითითების 12¹ მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**12.** იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო დავალიანება (**2011** წლამდე წარმოშობილი საბაჟო დავალიანების ჩათვლით) არის გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების თანხასა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების თანხას შორის სხვაობა, ჩამოწერისას მოსაკრებლის და ადმინისტრაციული ბარათის ნარჩენი ან ზედმეტობა, არ უნდა იქნეს გაითვალისწინებული.“.

3. მეთოდური მითითების 12² მუხლის მაგალითი 5-ის შემდეგ დაემატოს მაგალითი 5¹:

„მაგალითი 5¹:

პირს **2009** წლის **1** იანვრისათვის ერიცხება საგადასახადო დავალიანება საშემოსავლო გადასახადში ძირითადი თანხა – **1000** ლარი, ჯარიმა – **300** ლარი და საურავი – **1500** ლარი; ამავდროულად ზედმეტად გადახდილი თანხა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადში **400** ლარი.

პირს **2009** წლის **1** იანვრის შემდეგ დავალიანების თანხის ჩამოწერამდე დაერიცხა **2009** წლის კუთვნილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი **15.11.2009** წლის სავადოთი **700** ლარი, ხოლო **02.12.2009** წელს გადახდილი აქვს **100** ლარი. **2015** წლის **6** იანვარს გადაიხადა საშემოსავლო გადასახადის ძირითადი თანხის ნარჩენი **600** ლარი და საგადასახადო ორგანოში შეიტანა განცხადება **2009** წლის **1** იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნით.



მოცემულ შემთხვევაში:

პირი აკმაყოფილებს სსკ-ის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის პირობებს და დასკვნის შედგენის დღისათვის, 2015 წლის 12 იანვრისათვის, არსებული დავალიანება ჩამოიწერება ნაწილობრივ. კერძოდ, საშემოსავლო გადასახადში ჯარიმა - 300 ლარი და 2009 წლის 1 იანვრისთვის არსებულ ძირითად (600 ლარი) გადასახადზე დარიცხული საურავი ძირითადი დავალიანების თანხის დაფარვამდე.“.

1. მეთოდური მითითების 12² მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო დავალიანება (2011 წლამდე წარმოშობილი საბაჟო დავალიანების ჩათვლით) არის გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების თანხასა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების თანხას შორის სხვაობა, შესაბამისად, ჩამოწერისას მოსაკრებლის და ადმინისტრაციული ბარათის ნარჩენი ან ზედმეტობა არ უნდა იქნეს გათვალისწინებული.“.

2. მეთოდური მითითების 12³ მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო დავალიანება (2011 წლამდე წარმოშობილი საბაჟო დავალიანების ჩათვლით) არის გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების თანხასა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების თანხას შორის სხვაობა, შესაბამისად, ჩამოწერისას მოსაკრებლის და ადმინისტრაციული ბარათის ნარჩენი ან ზედმეტობა, არ უნდა იქნეს გათვალისწინებული.“.

3. მეთოდური მითითების 12³ მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დარიცხული და სსკ-ის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე (2014 წლის 25 დეკემბრამდე) სალარო აპარატების გადაუხდელი ჯარიმის თანხის საგადასახადო ორგანოს ინიციატივით ჩამოწერა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკურ პირს 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 25 დეკემბრამდე არ უფიქსირდებათ სალარო აპარატების ჯარიმის ბარათზე დარიცხვა (2013 წლის 1 იანვრამდე და 2014 წლის 25 დეკემბრამდე არსებული სალდირებული საგადასახადო დავალიანების გათვალისწინებით). ამასთან, საგადასახადო ორგანოს ინიციატივით საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა ასევე შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოს მიერ განხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების იდენტიფიცირება.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს
ფინანსთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №41/04-№102

2015 წლის 8 აპრილი, ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და
სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ
დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის
N10/01-N51 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის
შესაბამისად, ვბრძანებთ:

მუხლი 1

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო
ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულების
დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და საქართველოს
ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N10/01-N51 ერთობლივი ბრძანებით (სსმ. III,
03.02.2010, N13 მუხ.151) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) დისკონტის თანხა - სხვაობა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ნომინალურ
ღირებულებასა და შესყიდვის ფასს შორის, რომელიც ნომინალურ ღირებულებაზე
ნაკლებია;“.

2. მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ¹) პრემიის თანხა - სხვაობა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ნომინალურ
ღირებულებასა და შესყიდვის ფასს შორის, რომელიც ნომინალურ ღირებულებაზე მეტია.“.

3. მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ფინანსთა სამინისტრო სახაზინო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას
ახორციელებს ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამისი სახაზინო კოდის შემცირების გზით,
სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ფარგლებში. ხოლო, დისკონტის და კუპონის გადახდას
ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან.“.



4. მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 7¹ პუნქტი:

„7¹. სახაზინო ობლიგაციების პრემიის ამორტიზაცია ხდება ეტაპობრივად თანაბარი ოდენობებით, კუპონის გადახდასთან ერთად, ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამისი სახაზინო კოდისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ერთდროულად შემცირების გზით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

გიორგი ქადაგიძე

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური





i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №104

2015 წლის 15 აპრილი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 25-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111, 200090000.22.033.016112, 3.01.2011წ.) დამტკიცებული ინსტრუქციის 41-ე მუხლის შემდეგ დაემატოს:

1. 41¹ და 41² მუხლები შემდეგი შინაარსით:

„მუხლი 41¹. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს საგადასახადო ანგარიშგება

1. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო (შემდგომში – თიზ-ის საწარმო) ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდების შემთხვევაში გადაიხადოს საქონლის მიწოდებით მიღებული/მისაღები შემოსავლის (საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებისას – ამ საქონლის საბაზრო ფასის) 4 პროცენტი არაუგვიანეს საქონლის მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

2. საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირის მიერ (გარდა თიზ-ის საწარმოსი) თიზ-ის საწარმოსთვის საქონლის (გარდა ადგილზე მოხმარებისათვის ან/და წარმოებისათვის განკუთვნილი ელექტროენერჯისა, წყლისა და ბუნებრივი აირისა) მიწოდებისას თიზ-ის საწარმო ვალდებულია გადაიხადოს მიწოდებული საქონლის საბაზრო ფასის 4 პროცენტი არაუგვიანეს საქონლის მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.



3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში, თიზ-ის საწარმო ვალდებულია, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს მის მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშება №II-09¹ დანართის ფორმით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

მუხლი 41². თიზ-ის საწარმოს მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშების შევსება

1. თიზ-ის საწარმოს მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშების (შემდგომში – გაანგარიშება) პირველ ნაწილში აისახება ინფორმაცია თიზ-ის საწარმოს რეკვიზიტებისა (დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი) და საანგარიშო პერიოდის შესახებ.

2. გაანგარიშების II ნაწილი ივსება თიზ-ის საწარმოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდების შემთხვევაში.

3. გაანგარიშების II ნაწილში არსებულ ცხრილში მონაცემები საქონლის თითოეული მიწოდების შესახებ შესაბამის სტრიქონზე აისახება სვეტების დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად, კერძოდ:

ა) პირველ სვეტში აისახება საქონლის მიწოდების თარიღი, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით (ხელშეკრულება, სასაქონლო ზედნადები ან სხვა პირველადი საგადასახადო დოკუმენტი);

ბ) მე-2 სვეტში აისახება საქონლის მიწოდების პირის რეკვიზიტები (დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი);

გ) მე-3 სვეტში აისახება საქონლის მიწოდებით მიღებული (ან მისაღები) შემოსავალი. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მიწოდება ხდება უსასყიდლოდ, სვეტში აისახება ამ საქონლის საბაზრო ფასი;

დ) მე-4 სვეტში აისახება სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნომერი, რომელიც საგადასახადო ორგანოს წარედგინა მიწოდებული საქონლის შესაბამის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას;

ე) მე-5 სვეტში აისახება თიზ-ის საწარმოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხა, რომელიც შეადგენს შესაბამისი საქონლის მიწოდებით მიღებული (ან მისაღები) შემოსავლის (სვეტი №3) 4 პროცენტს;

ვ) ცხრილის ბოლო სტრიქონში აისახება საანგარიშო პერიოდში საქონლის მიწოდებით მიღებული (ან მისაღები) შემოსავლის (სვეტი №3) ჯამი და ასევე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მიწოდებების შედეგად თიზ-ის საწარმოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხების (სვეტი №5) ჯამი.

4. გაანგარიშების III ნაწილი ივსება საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) მიერ თიზ-ის საწარმოსათვის საქონლის მიწოდების შემთხვევაში.



ბ) მე-2 სვეტში აისახება საქონლის მიწოდებელი (გამყიდველი) პირის რეკვიზიტები (დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი);

გ) მე-3 სვეტში აისახება მიწოდებული საქონლის საბაზრო ფასი;

დ) მე-4 სვეტში აისახება სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ან სასაქონლო ზედნადების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნომერი, რომელიც საგადასახადო ორგანოს წარედგინა მიწოდებული საქონლის ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას;

ე) მე-5 სვეტში აისახება თიზ-ის საწარმოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხა, რომელიც შეადგენს შესაბამისი საქონლის საბაზრო ფასის (სვეტი №3) 4 პროცენტს;

ვ) ცხრილის ბოლო სტრიქონში აისახება საანგარიშო პერიოდში მიწოდებული საქონლის საბაზრო ფასის (სვეტი №3) ჯამი და ასევე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მიწოდებების შედეგად თიზ-ის საწარმოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხების (სვეტი №5) ჯამი.“.

2. „დანართი №II-09¹“ თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

„ დანართი №II-09¹“

თიზ-ის საწარმოს მიერ განხორციელებულ დასაბეგრო ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშება

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

20-- წლის ----- თვის საანგარიშო პერიოდზე

1	საწარმოს დასახელება:
---	----------------------

2	საიდენტიფიკაციო ნომერი								
---	------------------------	--	--	--	--	--	--	--	--

3	მისამართი:
---	------------

ნაწილი II. თიზ-ის საწარმოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდებისას გადასახადის გაანგარიშება



N	საქონლის მიწოდების თარიღი	საქონლის მიმღები პირის რეკვიზიტები	საქონლის მიწოდებით მიღებული/მისაღები შემოსავალი ან უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის საბაზრო ფასი	სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ნომერი	გადასახდელი თანხა (სვტ. 3X4%)
	1	2	3	4	5
1.					
2.					
...					
			ჯამი:		ჯამი:

ნაწილი III. საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირის მიერ (გარდა თიზ-ის საწარმოსი) თიზ-ის საწარმოსათვის საქონლის მიწოდებისას გადასახადის გაანგარიშება

N	საქონლის მიწოდების თარიღი	საქონლის მიმწოდებელი (გამყიდველი) პირის რეკვიზიტები	მიწოდებული საქონლის საბაზრო ფასი	სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ან სასაქონლო ზედნადების ნომერი		გადასახდელი თანხა (სვტ. 3X4%)
				დოკუმენტის დასახელება	ნომერი	
	1	2	3	4		5
1.						
2.						
...						
			ჯამი:			ჯამი:



**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №106**

2015 წლის 16 აპრილი, ქ. თბილისი

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის
2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლს მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (200090000.22.033.016112, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 78-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თამბაქოს ნაწარმის მატერიალური ფორმის აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდება ხორციელდება არსებულ შეფუთვაზე, პოლიეთილენის საფარველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შიგნიდან. საქართველოს საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე სიგარა ან/და სიგარილას აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდების შემთხვევაში, მატერიალური ფორმის აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდება შესაძლებელია განხორციელდეს არსებულ შეფუთვაზე, პოლიეთილენის საფარველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გარედან.“.

2.79-ე მუხლის:

ა)მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული აქციზური მარკის ნომინალური ღირებულება განისაზღვრება:

ა) პროდუქტის წარმომავლობის მიხედვით განსაზღვრული ალკოჰოლური სასმელისათვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 6.595 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ბ) იმპორტული ფილტრიანი თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 4.85 ლარის ოდენობით;

გ) ლუდის ნაწარმისათვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 4.03 ევროს ეკვივალენტი ლარებში.“;

ბ) მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„ა) იმპორტული ფილტრიანი და უფილტრო (სიგარეტი, სიგარა, სიგარილა) თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე - 5.0 ევროს ეკვივალენტი ლარებში;“.

3.დაემატოს შემდეგი შინაარსის 79¹-79³ მუხლები:

„მუხლი 79¹. შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული მატერიალური ფორმის აქციზური მარკების ფონური ფერები, ნუმერაცია და მათზე აღნიშნული წარწერები

1. შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული მატერიალური ფორმის აქციზური მარკების ფერები, ნუმერაცია და მათზე აღნიშნული სიტყვიერი წარწერებია:

ა) მწვანე ფერი, წარწერით „ადგილობრივი“ - ადგილობრივი წარმოშობის ალკოჰოლური სასმელის აქციზური მარკა;

ბ) ცისფერი ფერი, წარწერით „იმპორტი“ - იმპორტული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელის აქციზური მარკა;

გ) მწვანე ფერი, ადგილობრივი წარმოშობის - ლუდისათვის განკუთვნილი აქციზური მარკა;

დ) ცისფერი ფერი, იმპორტული წარმოშობის - ლუდისათვის განკუთვნილი აქციზური მარკა;

ე) ცისფერი - ნარინჯისფერი ფერი იმპორტული ფილტრიანი თამბაქოს ნაწარმისათვის, სიგარა, სიგარელასათვის განკუთვნილი აქციზური მარკა.

2. ალკოჰოლური სასმელებისათვის განკუთვნილი აქციზური მარკების ნუმერაცია განისაზღვრება სერიის აღმნიშვნელი ქართული ანბანის ორი ასო-ნიშნითა და რვაციფრიანი რიგითი ნომრით.

3. ალკოჰოლური სასმელებისათვის განკუთვნილი აქციზური მარკების პირველი სერიული ასო-ნიშანი განსაზღვრავს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომში - სეს ესნ) შესაბამის კოდის მქონე შემდეგ პროდუქციას:

ა) ა_ არაყი, სეს ესნ-ის კოდი 220860;

ბ) ბ _ სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით (გამოხდით), სეს ესნ-ის კოდი 220820;

გ) ლ_ ლიქიორები, სეს ესნ-ის კოდი 220870;

დ) ე _ ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.% ან მეტი; ეთილის სპირტი და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაციით, სეს ესნ-ის კოდი 2207;



ე) ს _ ვისკი, სეს ესნ-ის კოდი 220830; რომი და ტაფია, სეს ესნ-ის კოდი 220840; ჯინი და ღვის ნაყენი, სეს ესნ-ის კოდი 220850; სხვა დადუღებული სასმელები, სეს ესნ-ის კოდი 220600; არაკი (arrack) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 110 00; არაკი (arrack) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ-ზე მეტი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 190 00; ქლიავის, მსხლის ან ალუბლის სპირტიანი ნაყენები (ლიქიორების გარდა) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 330 00; ქლიავის, მსხლის ან ალუბლის სპირტიანი ნაყენები (ლიქიორების გარდა) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ-ზე მეტი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 380 00; უზო, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 410 00; კალვადოსი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 450 00; დანარჩენი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 480 00; კორნი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 520 00; ტევილა, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 540 00; დანარჩენი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 560 00; სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით არა უმეტეს 7 მას.%-ისა, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 690 01; დანარჩენი 2 ლ-ზე მეტი ტევადობის ჭურჭელში, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 690 09; ხილისაგან გამოხდილი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 710 00; ტევილა, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 750 00; დანარჩენი, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 770 00; დანარჩენი სპირტიანი სასმელები ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, ჭურჭელში ტევადობით, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 780 00; 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები, სეს ესნ-ის კოდი 2208 90 910 00; 2 ლ-ზე მეტი. სეს ესნ-ის კოდი 2208 90 990 00.

4. ალკოჰოლური სასმელებისათვის განკუთვნილი აქციზური მარკების სერიის მეორე ასონიშანი ცვალებადია და რვაციფრიანი რიგითი ნომრის შევსების შემთხვევაში იცვლება სხვა ანბანური ასონიშნით.

5. ალკოჰოლური სასმელებისათვის განკუთვნილ აქციზურ მარკაზე აღნიშნულია ტარის მოცულობის შემდეგი მაჩვენებლები:

ა) არაყისათვის -

0.051ლ-0,100ლ

0.101ლ-0,200ლ

0.201ლ-0,250ლ

0.251ლ-0,300ლ

0.301ლ-0,400ლ

0.401ლ-0,500ლ

0.501ლ-0,700ლ

0.701ლ-1,00ლ

1,001ლ-2,00ლ

2,001ლ-10,00ლ



ბ) სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით (გამოხდით) _

0,051ლ _ 0.200ლ

0,201ლ _ 0.300ლ

0,301ლ _ 0.500ლ

0,501ლ _ 0.750ლ

გ) ლიქიორები

0,051ლ _ 0.200ლ

0,201ლ _ 0.300ლ

0,301ლ _ 0.500ლ

0,501ლ _ 0.750 ლ

0.751ლ _ 1,00ლ

დ) ეთილის სპირტისათვის -

0,051ლ _ 0,300ლ

0,301ლ _ 0,500ლ

0,501ლ _ 0,750ლ

ე) სხვა ალკოჰოლური სასმელებისათვის (ვისკი, რომი და ტაფია, ჯინი და ღვის ნაყენი, სხვა დადუღებული სასმელები, სხვა სპირტიანი სასმელები)

0,051ლ _ 0.200ლ

0,201ლ _ 0.500ლ

0,501ლ _ 0,750ლ

0,751ლ _ 1,00ლ

6. ლუდისათვის განკუთვნილ აქციზური მარკებზე დატანილია ტარის მოცულობის აღმნიშვნელი ციფრობრივი მაჩვენებელი, სერიის მაჩვენებელი ლათინური ანბანის ორი ასო-ნიშნით და შვიდციფრიანი რიგითი ნომერი (ალაოს ლუდი, სეს ესნ-ის კოდი 2203 00).

7. ადგილობრივი ლუდისათვის განკუთვნილ აქციზურ მარკებზე დატანილია ტარის მოცულობის შემდეგი მაჩვენებლები:

0,33 ლ

0,5 ლ

1,0 ლ



1,5 ლ

2,0 ლ

2,25 ლ

8. სერიის მაჩვენებელი ლათინური ანბანის ორივე ასო-ნიშანი იცვლება ალფაბეტური წესით.

9. იმპორტული ლუდისათვის განკუთვნილ აქციზურ მარკებზე დატანილია ტარის მოცულობის შემდეგი მაჩვენებლები:

0,3 ლ

0,5 ლ

1,0 ლ

1,5 ლ

2,0 ლ

2,25 ლ

10. იმპორტული ლუდისათვის განკუთვნილ აქციზურ მარკებზე პირველი ლათინური ანბანის ასო-ნიშანი „L“ უცვლელია და აღნიშნავს „იმპორტს“, ხოლო მეორე იცვლება ალფაბეტური წესით რიგითი ნომრის ამოწურვის მიხედვით.

მუხლი 79². შემოსავლების სამსახურის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პირის მიერ მატერიალური ფორმის აქციზური მარკების ფონური ფერები და შეფუთვის ფორმები

1. შერჩეული პირის მიერ გაცემული მატერიალური ფორმის მარკების ფონური ფერია:

ა) ყვითელი-ლურჯი ფერი - ადგილობრივი და იმპორტული ალკოჰოლური ნაწარმისათვის განკუთვნილი აქციზური მარკა;

ბ) ყვითელი-ოქროსფერი ფერი - იმპორტული და ადგილობრივი ლუდის ნაწარმისათვის განკუთვნილი აქციზური მარკა;

გ) წითელი-ლურჯი ფერი - ადგილობრივი ფილტრიანი და უფილტრო (სიგარეტი, სიგარა, სიგარილა) თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილი აქციზური მარკა;

დ) ყვითელი-ლურჯი ფერი - იმპორტული თამბაქოს ნაწარმისათვის (სიგარეტი, სიგარა, სიგარილა) განკუთვნილი აქციზური მარკა.

2. შერჩეული პირის მიერ მატერიალური ფორმის აქციზური მარკების გაცემა ხორციელდება შეფუთული სახით, შემდეგი ფორმით:

ა) აქციზური მარკა 1000 ცალიანი რულონი (თვითწებადი);



- ბ) აქციზური მარკა 6000 ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- გ) ლუდის მარკების რულონი 10 000 ცალიანი (თვითწებადი);
- დ) ადგილობრივი უფილტრო სიგარეტი (სიგარა-სიგარილა) 1000 ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- ე) ადგილობრივი უფილტრო სიგარეტი 10 000 ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- ვ) ადგილობრივი ფილტრიანი სიგარეტი 108 000 ცალიანი შეკვრა (მშრალი);
- ზ) ადგილობრივი ფილტრიანი სიგარეტი 10 800 ცალიანი შეკვრა (მშრალი);
- თ) იმპორტული უფილტრო სიგარეტი (სიგარა-სიგარილა) 1000 ცალიანი რულონი (თვითწებადი);
- ი) იმპორტული უფილტრო სიგარეტი 108 000 ცალიანი შეკვრა (მშრალი);
- კ) იმპორტული უფილტრო სიგარეტი 10 800 ცალიანი შეკვრა (მშრალი);
- ლ) იმპორტული ფილტრიანი სიგარეტი 108 000 ცალიანი შეკვრა (მშრალი);
- მ) იმპორტული ფილტრიანი სიგარეტი 10 800 ცალიანი შეკვრა (მშრალი);

3. შერჩეული პირის მიერ გაცემული მატერიალური ფორმის აქციზური მარკების საიდენტიფიკაციო ინფორმაცია დაშიფრულია უხილავი მატრიცის/კოდის საშუალებით.

4. რულონური ტიპის თვითწებად აქციზურ მარკებზე დატანილია სერიული ნომერი საქონლის ნიშანდების/მარკირების შესახებ საინფორმაციო ბაზაში მათი გამოყენების ასახვისათვის (გააქტიურებისათვის).

5. შემოსავლების სამსახურისა და შერჩეული პირის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, შერჩეული პირი აქციზური მარკების გაცემას ანხორციელებს ნაწილობრივი ფორმით.

მუხლი 79³. შემოსავლების სამსახურის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პირის ელექტრონული მონაცემთა ბაზა და მომხმარებლად რეგისტრაცია

1. ელექტრონული აღრიცხვის მონაცემთა ბაზა (შემდგომში - მონაცემთა ბაზა) წარმოადგენს შემოსავლების სამსახურსა და შერჩეულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად შექმნილ ბაზას, სადაც ინახება ინფორმაცია აქციზური და არააქციზური საქონლისათვის განკუთვნილი მატერიალური და არამატერიალური მარკის მოთხოვნასა და გამოყენებაზე.

2. შერჩეული პირის მიერ მატერიალური და არამატერიალური ფორმით აქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების/არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების განხორციელებისა და მომსახურების გაწევამდე მეწარმე - სუბიექტი და დადგენილ შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია დარეგისტრირდეს მონაცემთა ბაზაში მომხმარებლად.



3. მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით მეწარმე-სუბიექტი და ფიზიკური პირი დადგენილ შემთხვევაში (შემდგომში - მომხმარებელი) შემოსავლების სამსახურს წარუდგენს №IV-02¹ და №IV-02² დანართების შესაბამის სარეგისტრაციო ფორმას.

4. შერჩეული პირი მომხმარებლის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციას ახორციელებს შემოსავლების სამსახურის მიმართვის საფუძველზე. მონაცემთა ბაზაში მომხმარებლის რეგისტრაციას შერჩეული პირი უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურის მიმართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

5. დანართი №IV-02¹ -ით დამტკიცებული სარეგისტრაციო ფორმა ივსება შემდეგი წესით:

ა) პირველ სვეტში მიეთითება მომხმარებლის დასახელება;

ბ) მე-2 სვეტში მიეთითება - მომხმარებლის საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ) მე-3 სვეტში მიეთითება - მომხმარებლის მიერ წარმოებული/იმპორტირებული პროდუქციის სახეობა (ალკოჰოლური სასმელი, ლუდი, ფილტრიანი თამბაქო, უფილტრო თამბაქო, სიგარა, სიგარელა);

დ) მე-4 სვეტში მიეთითება - მომხმარებლის ფაქტობრივი ადგილმდებარეობა, რეგიონი;

ე) მე-5 სვეტში მიეთითება - მომხმარებლის ფაქტობრივი მისამართის საფოსტო ინდექსი;

ვ) მე-6 სვეტში მიეთითება - მომხმარებლის ფაქტობრივი მისამართი;

ზ) მე-7 სვეტში მიეთითება - მომხმარებლის ელ. ფოსტის მისამართი, სადაც გაიგზავნება ინვოისი და შეტყობინება შეკვეთის შესახებ;

თ) მე-8 სვეტში მიეთითება - მომხმარებლის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

ი) მე-9 სვეტში მიეთითება - მომხმარებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი მონაცემთა ბაზაში ოპერაციების განსახორციელებლად (შეკვეთა, პროგნოზი, ინვოისის მიღება);

კ) მე-10 სვეტში მიეთითება - მარკების მიღებაზე მინდობილი პირი (სახელი, გვარი);

ლ) მე-11 სვეტში მიეთითება - მარკების მიღებაზე მინდობილი პირის პირადი ნომერი;

6. დანართი №IV-02² -ით დამტკიცებული სარეგისტრაციო ფორმა ივსება შემდეგი წესით:

ა) მე-2 სვეტში მიეთითება - მომხმარებლის მიერ წარმოებული/იმპორტირებული სეს ესნ-ის კოდი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის შესაბამისად;

ბ) მე-3 სვეტში მიეთითება - მომხმარებლის მიერ წარმოებული/იმპორტირებული პროდუქციის დასახელება ბრენდის მიხედვით, თამბაქოს ნაწარმზე ბრენდის დასახელება არ ივსება;

გ) მე-4 სვეტში მიეთითება - მომხმარებლის მიერ წარმოებული/იმპორტირებული აქციზური პროდუქციის ერთეულის ლიტრაჟი, თამბაქოს ნაწარმზე - კოლოფში განთავსებული ღერების რაოდენობა;



დ) მე-5 სვეტში მიეთითება - მომხმარებლის მიერ წარმოებული/იმპორტირებული პროდუქციის შეფუთვის სახეობა (შუშის ბოთლი, მყარი შეფუთვა, რბილი შეფუთვა და სხვა);

ე) მე-6 სვეტში მიეთითება - მომხმარებლის დასახელება;

ვ) მე-7 სვეტში მიეთითება - პროდუქციის წარმოშობა (ადგილობრივი, იმპორტი).

7. მომხმარებელი აქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდების ან/და არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების განსახორციელებლად შეკვეთას/განაცხადს მარკების შექმნაზე წარადგენს მონაცემთა ბაზის საშუალებით.“.

4. 79³ მუხლის შემდეგ დაემატოს №IV-02¹ და №IV-02² დანართები შემდეგი რედაქციით:

დანართი №IV-02¹

მომხმარებლის დასახელება	საიდენტიფიკაციო ნომერი	წარმოებული/იმპორტირებული პროდუქტის დასახელება (სახეობა)	ტერიტორიული რეგიონი	საფოსტო კოდი	ფაქტობრივი მისამართი	ელ. ფოსტის მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი	უფლება მოსილი საკონტაქტო პირი, სახელი გვარი	მარკების მიღებაზე მინდობილი პირი	მარკების მიღებაზე მინდობილი პ/ნD
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

დანართი №IV-02²

სეს ესნ კოდი	პროდუქციის დასახელება (თამბაქოს გარდა)	მოცულობა / ღერების რაოდენობა	შეფუთვის ფორმა	მომხმარებლის დასახელება	წარმოშობა
2	3	4	5	6	7



5. მე-80 მუხლის მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-13-მე-15 პუნქტები:

„13. შემოსავლების სამსახურის მიერ აქციზური მარკების გაცემის შემთხვევაში, თუ მეწარმე-სუბიექტის მიერ წარმოდგენილ სპეციფიკაციაში (ლუდისა და ალკოჰოლიანი სასმელების შემთხვევაში) აღნიშნული იქნება ისეთი მოცულობის ტარა, რომელიც ზუსტად არ მიესადაგება აქციზურ მარკებზე აღნიშნულ მოცულობებს, გაიცემა ამ ბრძანებით დადგენილი ყველაზე მიახლოებული, უფრო დაბალი ტარის მოცულობისათვის განკუთვნილი აქციზური მარკები.

14. პროდუქციის სახეობის ფარგლებში, სეს ესნ-ის შესაბამისი კოდის მქონე იმპორტული ალკოჰოლური სასმელისათვის განკუთვნილი აქციზური მარკების მარაგის ამოწურვის შემთხვევაში, მარკირების/ნიშანდების მოთხოვნების (მათ შორის, ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარების ან/და საკოლექციო მიზნით საქართველოში შემოტანილი) სრულად დაკმაყოფილების მიზნით, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად, გასცეს სეს ესნ-ის სხვა კოდის საქონლისათვის განკუთვნილი იგივე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში მარაგში არსებული ყველაზე დაბალი ტარის მოცულობისათვის განკუთვნილი აქციზური მარკა.

15. შემოსავლების სამსახური მატერიალური ფორმის აქციზური მარკების გაცემას ახორციელებს ეტაპობრივად, თითოეული პროდუქციის სახეობაზე არსებული აქციზური მარკების მარაგის ამოწურვის შესაბამისად.“.

6. 80¹ მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მატერიალური ფორმის მარკების შექმნის შესახებ წარდგენილ შეკვეთაში-განაცხადში მიეთითება:

ა) მომხმარებლის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) მატერიალური ფორმის მარკების დანიშნულება;

გ) მატერიალური ფორმის მარკების მიწოდების სასურველი თარიღი;

დ) საქონლის დასახელება;

ე) გასაცემი მატერიალური ფორმის მარკების შეფუთვების რაოდენობა სახეობების მიხედვით (რულონი, ყუთი).“;

ბ) მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. თამბაქოს მწარმოებელთან გადაგზავნამდე, აქციზური მარკების შეფუთვა ხდება აქციზური მარკებისგაცემის ადგილზე, საფოსტო გზავნილებისა და საკურიერო მომსახურების ორგანიზაციის მიერ, მეწარმე სუბიექტის უფლებამოსილი წარმომადგენლის, შემოსავლების სამსახურის ან/და შერჩეული პირის წარმომადგენლების თანდასწრებით, რაზედაც ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.“.



7. 80² მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. არამატერიალური ფორმის მარკით საქონლის სავალდებულო ნიშანდების/მარკირების განსახორციელებლად მომსახურების მიღების შესახებ წარდგენილ განაცხადში მიეთითება:

ა) მომხმარებლის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) არამატერიალური ფორმის მარკების დანიშნულება;

გ) საქონლის დასახელება;

დ) არამატერიალური ფორმის მარკების რაოდენობა (1 ცალი ტოლია 1000 ცალის ფორმატი).“.

8. 81-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლისა და აქციზური მარკების მიმღები მეწარმე სუბიექტის მიერ

შედგენილ აქციზური მარკების მიღება-ჩაბარების შესახებ აქტის ასლს.“;

ბ) მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

9. 81¹ მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გამოუყენებელი მატერიალური ფორმის აქციზური მარკების უკან დაბრუნება ხორციელდება შერჩეული პირის მიერ აქციზური მარკების შესწავლის შედეგების შემოსავლების სამსახურისთვის შეტყობინების შემდეგ, შემოსავლების სამსახურისგან მიღებული დასტურის შესაბამისად, როგორც ნაწილობრივი, ასევე, 79² მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შეფუთვების ფორმით. თამბაქოსათვის განკუთვნილი აქციზური მარკების დაბრუნების შემთხვევაში, უკან დაბრუნებული აქციზური მარკების შეფუთვების ფორმები უნდა შეესაბამებოდეს მის გაცემისას არსებულ ფორმებს, გარდა 79² მუხლის მე-2 პუნქტის „დ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. შერჩეული პირი ახდენს უკან დაბრუნებული აქციზური მარკების აღრიცხვასა და უტილიზაციას. უტილიზაცია ხორციელდება შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით, უფლებამოსილი პირების თანდასწრებით.“.

10. 81² მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„ნ) ამ პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უზრუნველყოს შერჩეული პირისა და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად მონაცემთა ბაზაში არასწორად ასახული პროდუქციის თაობაზე შესაბამისი ოქმის შედგენა დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომელიც წარედგინება შემოსავლების სამსახურს.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მატერიალური ფორმის მარკებით საქონლის სავალდებულო ნიშანდების/მარკირების განხორციელებისას მეწარმე-სუბიექტისა და ფიზიკური პირის მოვალეობებია:

ა) 3 სამუშაო დღით ადრე აცნობოს შემოსავლების სამსახურს მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებულ ინფორმაციაში დამატებების ან ცვლილებების თაობაზე;

ბ) არ მოახდინოს ნიშანდებული/მარკირებული ნაწილის დაფარვა სხვა მასალით, რომელიც ხელს შეუშლის მარკის საიდენტიფიკაციო მაჩვენებლების ამოცნობას (მარკაში დაშიფრული ინფორმაციის წაკითხვას);

გ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია იმ პროდუქციის თაობაზე, რომლის ნიშანდებზე მონაცემთა ბაზაში აისახა (გააქტიურდა) არასწორი ინფორმაცია;

დ) მატერიალური ფორმის მარკების მიღებიდან 6 თვიან პერიოდში მოახდინოს იმპორტისათვის მიღებული მატერიალური ფორმის მარკების გამოყენება ან დაბრუნება. დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე, უზრუნველყოს პროდუქციაზე ნიშანდების/მარკირების შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში ასახვა (გააქტიურება);

ე) მატერიალური ფორმის მარკების მიღების შემდეგ, შეფუთვის ფორმების მიხედვით, მათზე დატანილი კოდის-ნუმერაციის შესაბამისად, უზრუნველყოს მოძრაობის (მიღებულია, უარყოფილია, დაკარგულია) სტატუსის მონაცემთა ბაზაში ასახვა (გააქტიურება).“;

ვ) მე-5 პუნქტის შემდეგი დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. ნიშანდებული/მარკირებული პროდუქციის შესახებ არასწორად ასახული (გააქტიურებული) ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში გასწორება ხორციელდება შერჩეული პირის მიერ, შემოსავლების სამსახურის მიმართვის საფუძველზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური



საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №126

2015 წლის 30 აპრილი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112, 03.01.201წ.) დამტკიცებული ინსტრუქციის VII კარის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის VII¹ კარი:

„კარი VII¹

მუხლი 111¹. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 68-ე-72-ე ნაწილებით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის წესი

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 68-ე-72-ე ნაწილებით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის მიზნით:

ა) უეფას მიერ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს წარედგინება:

ა.ა) განცხადება, №1-02 დანართის შესაბამისად;

ა.ბ) ლეგალიზებული/აპოსტილით დამოწმებული, ქართულ ენაზე თარგმნილი სადამფუძნებლო დოკუმენტაცია ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ა.გ) მონაცემები მისამართისა და ხელმძღვანელის შესახებ;

ა.დ) ქართულ ენაზე შესრულებული ან თარგმნილი ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით.

ბ) უეფას ფილიალის მიერ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის შემთხვევაში, უეფას ან/და მისი ფილიალის მიერ საგადასახადო ორგანოს წარედგინება ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გ) დანიშნული პირის მიერ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის შემთხვევაში, უეფას ან/და მისი ფილიალის მიერ საგადასახადო ორგანოს წარედგინება დანიშნული პირების შესახებ ინფორმაცია. ამასთან:

გ.ა) თუ დანიშნული პირი არის ფიზიკური პირი, წარმოდგენილ ინფორმაციას თან უნდა დაერთოს:



გ.ა.ა) განცხადება, №I-01 დანართის შესაბამისად;

გ.ა.ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი

გ.ბ) თუ დანიშნული პირი არის იურიდიული პირი, ინფორმაციას თან უნდა დაერთოს:

გ.ბ.ა) განცხადება, №I-02 დანართის შესაბამისად;

გ.ბ.ბ) ლეგალიზებული/აპოსტილით დამოწმებული, ქართულ ენაზე თარგმნილი სადამფუძნებლო დოკუმენტაცია ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

გ.ბ.გ) მონაცემები მისამართისა და ხელმძღვანელის შესახებ;

გ.ბ.დ) ქართულ ენაზე შესრულებული ან თარგმნილი ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ - „გ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ დანიშნული პირი უკვე რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად.

3. შემოსავლების სამსახური უფასოვს ან/და დანიშნული პირისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას და უფასო ღონისძიებების ფარგლებში შეღავათით მოსარგებლე პირთან ერთად ელექტრონულ რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) შესაბამისი მონაცემების შეტანას უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებიდან 10 დღეში. უფასო ფილიალის ან/და საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი დანიშნული პირის შესახებ შესაბამისი მონაცემები რეესტრში შეიტანება მომართვიდან 10 დღეში.

4. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 68-ე-71-ე ნაწილებით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობა ხორციელდება საერთო წესით.

5. დანიშნულ პირთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში უფა ან მისი ფილიალი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტამდე აცნობოს შემოსავლების სამსახურს.

6. უფასო, მისი ფილიალის ან/და დანიშნული პირისათვის საქონლის მიწოდებისას ან/და მომსახურების გაწევისას, საგადასახადო შეღავათით სარგებლობის (დღგ-ისგან გათავისუფლების) მიზნით სავალდებულოა საფ-ის გამოწერა, რომელშიც დღგ-ის თანხის აღმნიშვნელ სტრიქონზე მიეთითება „0“ (ნული).

7. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლში აღნიშნული პროცედურების მიუხედავად, უფასო, მისი ფილიალის ან/და დანიშნული პირის მიერ შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე მომწოდებლისათვის გადახდილ იქნა დღგ (18%), მათ უფლება აქვთ დაიბრუნონ დღგ-ის თანხა.

8. შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ განცხადება უფასო ღონისძიებების ფარგლებში საქონლის/მომსახურების შეძენისას გადახდილი დღგ-ის თანხის გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს წარედგინება



არაუგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების (საქონლის/მომსახურების მიწოდების) თვის მომდევნო 3 თვისა. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემენილ საქონელზე/მომსახურებაზე გამოწერილი საფ-ების პირველი ეგზემპლარები.

9. უფას ღონისძიებების ფარგლებში საქონლის/მომსახურების შემენისას შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ საგადასახადო ორგანოს წარედგინება განაცხადი გადახდილი დღ-ის თანხის დაბრუნების შესახებ №VII¹-01 დანართის შესაბამისად.

10. საგადასახადო ორგანო განიხილავს შეღავათით მოსარგებლე პირის მიერ წარდგენილ განაცხადს დღ-ის თანხის დაბრუნების თაობაზე და:

ა) ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში, განაცხადის წარდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოფს თანხის დაბრუნებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლით დადგენილი წესით;

ბ) ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე 3 დღის განმავლობაში წერილობით ატყობინებს განმცხადებელს და განუსაზღვრავს 15-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

11. ხარვეზის დადგენისას ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ვადის დენა შეჩერებულად ითვლება პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრამდე ან შეტყობინებაში განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

12. ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ ვადაში, საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, განაცხადი შესაძლებელია წარდგენილი იქნეს განმეორებით.

13. განაცხადის მიხედვით დღ-ის თანხის დაბრუნება ხდება განმცხადებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური





„დანართი № VII¹⁻⁰¹

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება)

საიდენტიფიკაციო ნომერი

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 72-ე ნაწილის საფუძველზე გთხოვთ, დამიბრუნოთ 2015 წლის სუპერთასის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილი დღგ-ის თანხა შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

(ბანკის დასახელება და რეკვიზიტები)

(ანგარიშის ნომერი)

დანართი:

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები

რაოდენობა

გვერდზე

==

განმცხადებლის ხელმოწერა -----
(თარიღი)“.

ქურნალი



შეფასებები





ki Txva - pasuxi

**შეკითხვებს პასუხობს ჟურნალ “გადასახადების” ექსპერტი,
შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის აუდიტორი**

ბესიკ მიქელაძე

ki Txva:

საქართველოში რეგისტრირებული შპს “X”, ახორციელებს საქონლის იმპორტს და რეალიზაციას, გარკვეულ შემთხვევებში მომწოდებელი სთავაზობს ფასდაკლებას, შესაბამისად შპს “X” გარკვეული რაოდენობის ყიდვის შემთხვევაში 3%-ით ნაკლებ თანხას უხდის მომწოდებელს, ინვოისში დაფიქსირებულია როგორც სრული ღირებულება, ასევე ფასდაკლების %-იც, მოცემულ შემთხვევაში შესაბამისი წლის მოგების გადასახადის მიზნებისათვის ხარჯად აღიარდება მთლიანი ღირებულება თუ ფასდაკლების შემდეგ დარჩენილი ღირებულება?

pasuxi:

მოქმედი საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის მიხედვით ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, ამასთან დადასტურებულია დოკუმენტურად, შესაბამისად, ფასდაკლების შემთხვევაში შპს “X”-სათვის მოგების გადასახადის მიზნებისათვის გამოსაქვითი ხარჯი შეადგენს საქონელზე ფასდაკლების შემდეგ დარჩენილ ღირებულებას.

ki Txva:

შპს „Y“ ახორციელებს მანქანა დანადგარების იმპორტს და რეალიზაციას, ამასთან, მომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით იღებს ვალდებულებას, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღნიშნულ დანადგარებზე დაზიანებული ან/და ტექნიკური წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, საგარანტიო მომსახურების ფარგლებში მოახდენს დეტალების შეცვლა-შეკეთებას.(დეტალების შეცვლის მომსახურება დაბეგრულია დღგ-ის გადასახადით). შპს „Y“ ანგარიშს წარუდგენს მომწოდებელ კომპანიას შეცვლილი/შეკეთებული დეტალების მომსახურების შესახებ, რომელიც თავის მხრივ ურიცხავს თანხას.

მომწოდებლის მიერ ჩარიცხული თნხები აისახება შპს „Y“-ის ერთობლივი შემოსავალში, მაგრამ არ იბეგრება დღგ-ის გადასახადით, რამდენად მართებულია აღნიშნული ქმედება?

pasuxi:

შპს „Y“ ვალდებულია საგარანტიო ვალდებულების შესრულების ფარგლებში უცხო ქვეყნის მწარმოებლისგან მიღებული ან და მისაღები კომპენსაცია დაბეგროს დღგ-ის გადასახადით.



ki Txva:

სამედიცინო დაწესებულება „X“-ს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, მოახდინოს გაფართოება, შეიძინა მიწის ნაკვეთი, რეინვესტირების მოტივით მან შეამცირა დასაბეგრი მოგება მიწის ნაკვეთის ღირებულებით.

მართებულია თუ არა სამედიცინო დაწესებულება „X“-ის ქმედება?

pasuxi:

მოქმედი საგადასახადი კოდექსის 99-ე მუხლის „რ“ ქვეპუნქტის მიხედვით მოგების გადასახადისგან თავისუფლდება „სამედიცინო დაწესებულების (მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა) სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირება (დაწესებულების რეაბილიტაცია, ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა) ხორციელდება შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში;“

აქედან გამომდინარე, ვინაიდან მიწის შეძენა არ წარმოადგენს დაწესებულების რეაბილიტაციას და არც ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფას, სამედიცინო დაწესებულებას არ უნდა შეემცირებინა დასაბეგრი მოგება რეინვესტირების მოტივით.

ki Txva:

თუ საწარმოდან, რომელშიც სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილი აქვს და სახელმწიფომ ამოიღო აქტივი (შენობა(ერიცხებოდა ამორტიზაცია); მიწის ნაკვეთი); როგორ უნდა მოხდეს შემოსავლებისა და ხარჯების ასახვა საწარმოს მიერ?

pasuxi:

სახელმწიფოს მიერ საწარმოს კაპიტალიდან აქტივების გატანა, რომელშიც სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილი აქვს, არ განიხილება საქონლის მიწოდებად და ასეთ მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯი არ გამოიქვითება (სსკ-ის 16-ე და 106-ე მუხლები), აღნიშნულზე მიღებული დღგ-ის ჩათვლა სსკ-ის 174-ე მუხლის მიხედვით გაუქმებას არ ექვემდებარება.

სახელმწიფოს მიერ საწარმოდან, რომელშიც სახელმწიფოს წილი 50%-ზე მეტია, აქტივების (შენობა, მიწის ნაკვეთი) ამოღების შემთხვევაში, გადაცემული შენობის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი გაუტოლდება ნულს, ხოლო ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება.

გადაცემულ მიწასთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულება არ წარმოიშობა.

ki Txva:

საწარმო „X“-ს სესხი ჰქონდა გაცემული ყოფილ თანამშრომელზე, გარკვეული პერიოდის შემდეგ პირს სესხი აპატია და პატიებული სესხის თანხა დაბეგრა გადახდის წყაროსთან, ხოლო შემდეგ გამოქვითა ერთობლივი შემოსავლიდან, მართებულია თუ არა საწარმო „X“-ის ქმედება?

pasuxi:

ვინაიდან სსკ-ის 105-ე მუხლის მიხედვით ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება მის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი, ხოლო პატიებული სესხის თანხა არ წარმოადგენს შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯს, შესაბამისად აღნიშნული თანხის გამოქვითვა ერთობლივი შემოსავლიდან არამართლზომიერია, ხოლო პატიებული სესხის დაბეგრა გადახდის წყაროსთან სწორია (სსკ-ის 154-ე მუხლი.)






Jurnal i -gadasaxadebi s- reda qci a gTavazobT

konsul taciebs sagadasaxado, buRal trul i aRricxvisa da sabuRal tro programa -oris-buRal teria--sTan dakavSi rebul saki Txebze.

konsul taciebi Catardeba wi naswar SeTanxmebul droSi.

Cveni sakontaqto tel efonebi a: 230-78-51, 5-93-79-10-77

val utis kursi

	aSS dol ari	2.3567	-0.0070
	evro	2.6895	+0.0055
	girvanqa sterl ingi	3.6972	-0.0195

buRal trul i aRricxvisa da sabuRal tro programa
`oris-buRal teria- Semswavl el Ta

s a y u r a d R e b o d

Jurnal i `gadasaxadebi s- reda qci a gTavazobT buRal trul i aRricxvisa da sabuRal tro programa `oris-buRal teria- Seswavl is daCqarebul kurss. cal keul i j gufebis dakompl eqteba moxdeba msmenel Ta Sesabami si doneebis gaTval i swi nebi T.

saswavl o process warmarTaven am dargis cnobil i special istebi.

msmenel Ta miReba dawyebul ia. mecadineobebi Catardeba TqvenTvis sasurvel droSi da pirobekSi.

Cveni sakontaqto tel efonebi a: 230-78-51, 5-93-79-10-77